



საქართველოს 2023 წლის
მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი
2024 ივნისი

შინაარსი

ძირითადი ინდიკატორების მიმოხილვა	3
1. რეალური სექტორი	4
1.1 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგებისა და დანახარჯების მიხედვით	4
1.2 პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა	6
2. საგარეო სექტორი	9
2.1 მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დინამიკა	9
2.2 საგარეო ვაჭრობის დინამიკა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე)	13
2.2.1 ფულადი გზავნილები	22
2.2.2 საერთაშორისო რეზერვები	24
2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	25
3. ფისკალური სექტორი	28
3.1 საბიუჯეტო აგრეგატების მიმოხილვა	28
3.2 ფისკალური პოლიტიკის იმპულსი და ფისკალური სივრცე	30
4. მონეტარული სექტორი	33
4.1 ინფლაციის მიმოხილვა	33
4.2 საბანკო დეპოზიტები და სესხები	35
4.2.1 დეპოზიტები	35
4.2.2 სესხები	37
4.3 მონეტარული განაკვეთების მიმოხილვა	38
4.4 დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა	40
4.5 მონეტარული აგრეგატებისა და გაცვლითი კურსის მიმოხილვა	41
5. სოციალური სექტორი	43
5.1 დასაქმება და უმუშევრობა	43
5.2 სიღარიბე და საარსებო მინიმუმი	45
6. საქართველო და დანარჩენი მსოფლიო	47
6.1 მეზობელი ქვეყნები	48
6.2 განვითარებადი ქვეყნები	52
6.3 ევროკავშირის წევრი და წევრობის კანდიდატი ქვეყნები	54
გამოყენებული მონაცემების წყარო	59

ძირითადი ინდიკატორების მიმოხილვა


- მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალურმა ზრდამ 2023 წელს 7.5% შეადგინა, ხოლო მშპ-მ ნომინალურ გამოსახულებაში - 80 246 მლნ ლარი. 2022 წელთან შედარებით, მშპ ერთ სულზე 1 949 ლარით გაიზარდა და ნომინალურ გამოსახულებაში 21 575 ლარს გაუტოლდა (8 210 აშშ დოლარი).
- 2023 წელს წამყვანი როლი ეკონომიკურ აქტივობაში კაპიტალს ჰქონდა.
- 2023 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა - მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის მიმართ 4.3% შეადგინა, რაც ყველაზე დაბალი მონაცემია წინა წლებთან შედარებით. აღნიშნული ძირითადად უკავშირდება იმ ფაქტს, რომ საანგარიშო პერიოდში მიმდინარე ტრანსფერების და განსაკუთრებით მომსახურების დადებითი ბალანსი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.
- უარყოფითი მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების ძირითად წყაროს საზღვარგარეთიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები (1,306 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ინვესტიციები (770 მლნ აშშ დოლარი) წარმოადგენენ.
- ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა 22,124 მლნ ლარი შეადგინა, რაც 14.2%-ით მეტია 2022 წლის მაჩვენებელზე.
- ხარჯები, ე.წ მიმდინარე ხარჯები წინა წელთან შედარებით 14.7%-ით (2,302 მლნ ლარით) გაიზარდა და 17,913 მლნ ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციას ავლენს არაფინანსური აქტივების შექმნაც (9.5%-ით, 565 მლნ ლარით), რამაც 6,533 მლნ ლარი შეადგინა.
- 2 მლნ ლარით შემცირდა არაფინანსური აქტივების კლება, ე.წ პრივატიზაცია, და 2023 წელს 434 მლნ ლარი შეადგინა.
- 2022 წელთან შედარებით გაუმჯობესდა ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო შემცირდა მთლიანი სალდო, შესაბამისად 122 მლნ ლარით გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტი (შეადგინა მშპ-ს 2.4%).
- საშუალო წლიური ინფლაცია 2.5%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა, რაც არ აღემატება 3%-ან მიზნობრივ მაჩვენებელს. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია 2023 წელს სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასების ზრდით.
- 2023 წელს 6.0 პპ-ით შემცირდა და 47.0% შეადგინა დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელმა. 2013 წლიდან დეპოზიტების დოლარიზაცია უწყვეტად იზრდებოდა, 2017-2019 წლებში კი კლების ტენდენცია შეინიშნებოდა. ასევე კლების უწყვეტი ტენდენცია შეინიშნება 2020 წლის შემდეგ.
- მნიშვნელოვნად გაიზარდა დეპოზიტური კორპორაციების მიერ კერძო სექტორის დაკრედიტება.
- გამყარდა ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით.

1. რეალური სექტორი

1.1 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგების და დანახარჯების მიხედვით

2023 წელს, წინა წელთან შედარებით, წინასწარი მონაცემების თანახმად, საქართველოს მშპ-ს რეალურმა ზრდამ 7.5% შეადგინა, რაც 2.5 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატება მთავრობის მიერ 2022 წლის დეკემბერში გაკეთებულ პროგნოზს (5.0%), ხოლო 2.4 პპ-ით აღემატება პარლამენტის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებულმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა 2023 წელს 21,575 ლარს (8,210 აშშ დოლარს) მიაღწია, ანუ 1,949 ლარით (1,479 აშშ დოლარით) მეტს წინა წელთან მიმართებით.

საბიუჯეტო ოფისის მიერ გაკეთებულ პროგნოზს (5.1%). ამავე პერიოდში ნომინალურმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა 7,386.0 მილიონი ლარით (10.1%-ით) მოიმატა და 80,246.1 მილიონი ლარით განისაზღვრა.




დიაგრამა 1: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ლარი.
წყარო: საქსტატი.

ცალკეული კვარტლების მიხედვით, 2023 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, ქვეყნის ეკონომიკა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 8.2% შეადგინა. ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა მეორე კვარტლიდანაც და რეალური მშპ-ის ზრდის ტემპმა მეორე კვარტალში 8.1%, ხოლო მესამე და მეოთხე კვარტლებში შესაბამისად 7.0% და 6.9% შეადგინა. როგორც ჩანს, საქართველოში 2023 წლის I კვარტლიდან დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური აქტივობა შენარჩუნდა მთელი წლის განმავლობაში, რაც გამოწვეული იყო როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების ზრდით, აგრეთვე, მნიშვნელოვნად გამოცოცხლებული საგარეო ვაჭრობის ტემპით.

2023 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 2022 წლის ბოლოსათვის არსებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზების გათვალისწინებით. აღნიშნული პროგნოზები, ერთი მხრივ, ეყრდნობოდა იმ ფაქტს, რომ ქვეყნებმა COVID-19 პანდემიის შემდგომ დაიწყეს ეკონომიკის აღდგენა, მეორე მხრივ კი გათვალისწინებული იყო რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად დაწესებული სანქციების ფონზე მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდის შენელება მთელ მსოფლიოში, აგრეთვე სურსათსა და ნავთობპროდუქტებზე მსოფლიო ბაზარზე არსებული მაღალი ფასები. თუმცა, 2023 წლის I კვარტლიდან დაფიქსირებული ეკონომიკის მოსალოდნელზე მეტად ზრდის შემდეგ, აღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებლები შეიცვალა. კერძოდ კი, 2023 წლის რეალური მშპ-ის საპროგნოზო ზრდის ტემპმა 2023 წლის ოქტომბრის თვეში მთავრობის მიერ გაკეთებული პროგნოზით შეადგინა 6.5%, ხოლო საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით 6.7%.


მშპ-ს დარგობრივ_ჭრილში ანალიზიდან ვლინდება, რომ ეკონომიკის ზრდაზე, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, სუბსიდიებისა და უძრავი ქონების ოპერაციების გარდა, ყველა დარგმა დადებითი გავლენა იქონია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჭრობის (1.79 პპ), მშენებლობის (1.20 პპ), სახელმწიფო მმართველობისა და თავდაცვის (0.76 პპ), ტრანსპორტის (0.75 პპ), განათლების (0.73 პპ) და გადასახადების (0.51 პპ) წვლილი. ასევე, საინტერესოა მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი 2013-2023 წლებში. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მთავარი წარმმართველი დარგები იყო ტრანსპორტი, მრეწველობა, ვაჭრობა, მშენებლობა, გადასახადები და საფინანსო საქმიანობა.



დიაგრამა 2: დარგების წვლილი მშპ-ის ზრდაში.
წყარო: საქსტატი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

რაც შეეხება მშპ-ს ანალიზს დანახარჯების მიხედვით, 2023 წლის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, რეალური მშპ-ის 7.5%-იან ზრდაში წმინდა მოხმარების დადებითი წვლილი 3.1 პპ-ს აღწევს, ასევე დადებითი წვლილი შეიტანა ინვესტიციებმა და ექსპორტმა, შესაბამისად 5.4 პპ და 4.3 პპ, ხოლო წმინდა ექსპორტის უარყოფითმა წვლილმა 5.4 პპ შეადგინა. 2022 წელთან შედარებით გაზრდილი ეკონომიკური აქტივობების ფონზე, 2023 წელს გაიზარდა საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებიც, მათ შორის, დადებითი ტენდენცია შეინიშნებოდა მომსახურების ექსპორტში ტურისტული აქტივობის ზრდიდან გამომდინარე. 2023 წელს დაფიქსირდა მომსახურების ექსპორტის 23.6% ზრდა, მთლიანობაში კი საქონლის და მომსახურების ექსპორტი 14.5%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც 2016-2019 წლებში ამავე კომპონენტის საშუალო ზრდის ტემპი 12.1%-ს შეადგენდა, ხოლო 2020 წელს დაფიქსირდა მნიშვნელოვანი 37.9%-იანი კლება. აღნიშნული კლება გამოწვეული იყო კოვიდპანდემიის შედეგად დაწესებული შესაბამისი შეზღუდვებით, რამაც პირველ რიგში შეამცირა მომსახურების ექსპორტი. მიუხედავად აღნიშნულისა, საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება დაფიქსირდა შემდგომ წლებში. კერძოდ, 2021 წელს საქონლისა და მომსახურების ექსპორტის 36.4%-იანი, ხოლო 2022 წელს - 63.7%-იანი ზრდა დაფიქსირდა. 2023 წელს 13.6%-ით გაიზარდა საქონლისა და მომსახურების იმპორტი (40.5%-იანი ზრდა 2022 წელს). 2023 წელს რეალური მოხმარების 3.6%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ხოლო რეალური ინვესტიციების ზრდამ 22.6% შეადგინა (35.7%-იანი ზრდა 2022 წელს).

დანახარჯების მიხედვით მშპ-ს დინამიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ 2014-2019 წლებში ძირითადად მოხმარების, ინვესტიციებისა და ექსპორტის კომპონენტებს მშპ-ს რეალურ ზრდაში დადებითი წვლილი შეჰქონდა, ხოლო იმპორტს - უარყოფითი. თუმცა, არსებობდა გამონაკლისი წლებიც, როდესაც აღნიშნული სტრუქტურიდან ერთი ან ორი კომპონენტი ავლენდა განსხვავებულ დინამიკას. კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, განსხვავებული დინამიკა შეინიშნებოდა 2020 წელს, როდესაც ზრდაში დადებითი წვლილი მოხმარებასთან ერთად იმპორტმა შეიტანა, ხოლო ინვესტიციებმა და ექსპორტმა - უარყოფითი. 2022 წელს, აღნიშნული წლის ეკონომიკურ ზრდაში დადებითი წვლილი შეიტანა ინვესტიციებმა და ექსპორტმა, ხოლო უარყოფითი წვლილი - მოხმარებამ და იმპორტმა. რაც შეეხება 2023 წელს, ეკონომიკის ზრდაში უარყოფითი წვლილი მხოლოდ იმპორტის შემთხვევაში ფიქსირდება.



● მოხმარება ● ინვესტიციები ● ექსპორტი ● იმპორტი

დიაგრამა 3: მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით.


წყარო: საქსტატი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

1.2 პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა

მშპ-ის ფორმირება ძირითადად ხდება წარმოების ფაქტორების: სამუშაო ძალის და კაპიტალის გამოყენებით. ასევე, მხედველობაში მისაღებია ზემოაღნიშნული წარმოების ფაქტორების პროდუქტიულობა/მწარმოებლურობა, ე.წ. მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა, რომლის შეფასებაც ყველაზე მეტ სირთულეს წარმოადგენს, რადგან იგი დაუკვირვებადი ფაქტორია და უამრავ კომპონენტს მოიცავს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეალური სექტორის შესახებ სრული სურათის მისაღებად, მნიშვნელოვანია მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტების ანალიზი წარმოების ფუნქციაზე დაყრდნობით.

საბიუჯეტო ოფისი აღნიშნული ანალიზისათვის იყენებს ე.წ. კობ-დუგლასის წარმოების ფუნქციას¹. კაპიტალის და სამუშაო ძალის ელასტიკურობის შეფასების შემდეგ, გაანგარიშებულ იქნა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის ზრდის ტემპი, როგორც ნაშთი კობ-დუგლასის წარმოების ფუნქციიდან. მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკა, კაპიტალის და სამუშაო ძალის ზრდის მაჩვენებლებთან ერთად, ნაჩვენებია დიაგრამა 4-ზე. როგორც დიაგრამაზეა წარმოდგენილი, 2023 წელს წამყვანი როლი ეკონომიკურ აქტივობაში კაპიტალს ჰქონდა, რაც შეეხება ინვესტიციებს, 2023 წელს ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც გაზარდა მთლიანი კაპიტალის მოცულობაც. ასევე აღსანიშნავია, რომ 2023 წელს კაპიტალის ზრდასთან ერთად, სამუშაო ძალის და მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დადებითი წვლილიც დაფიქსირდა.

1. კობ-დუგლასის სანარმოო ფუნქციას შემდეგი სახე აქვს: $Y = AK^\alpha L^\beta$, სადაც α არის მშპ-ს ელასტიკურობა კაპიტალის მიმართ, ხოლო β - მშპ-ს ელასტიკურობა სამუშაო ძალის მიმართ. აღნიშნულ სანარმოო ფუნქციაზე დაყრდნობით, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა რეგრესული ანალიზის გამოყენებით შეაფასა α და β კოეფიციენტები, რომლებიც შესაბამისად, 0.44-ს და 0.56-ს შეადგენს.




დიაგრამა 4: მშპ-ის ანალიზი წარმოების ფუნქციით.
წყარო: საქსტატი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ს შორის იქნება ე.წ. მშპ-ს გაპი².

თუ ფაქტობრივი მშპ აღემატება მის პოტენციურ დონეს, მაშინ სახეზე გვაქვს მშპ-ს დადებითი გაპი (ინფლაციური გაპი), ხოლო თუ ფაქტობრივი მშპ პოტენციურს ჩამორჩება, მაშინ ქვეყანაში მშპ-ს უარყოფითი გაპია, რასაც ხშირად რეცესიულ გაპსაც უწოდებენ. მშპ-ს პოტენციური დონის შეფასებისათვის ხშირად გამოიყენება როგორც სტატისტიკური მეთოდები (პოლრიკ-პრესკოტის, ბენდ-პასის ფილტრები), ისე – ეკონომიკურ თეორიაზე დაფუძნებული სხვადასხვა შეფასება (მაგ., კალმანის ფილტრი).

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ პოტენციური მშპ-ს შესაფასებლად გამოიყენება ე.წ. კალმანის ფილტრი, რომელიც ემყარება კვარტალურ მონაცემებს და ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიკურ აქტივობას და ფასების დონის ცვლილებას. აღნიშნული შეფასების საფუძველზე შესწავლილი მშპ-ის გაპის მაჩვენებელი გამოსახულია დიაგრამა 5-ზე. როგორც დიაგრამაზე ჩანს, 2016 წლიდან უარყოფითი მშპ-ს გაპი არსებითი გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს, მაგრამ 2020 წელს COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა პრობლემებმა უარყოფითად იმოქმედა მშპ-ს გაპზეც და იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2020 წელს ეკონომიკის აქტივობა 5.0%-ით ჩამორჩებოდა მის პოტენციურ დონეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ეკონომიკური ზრდის შედეგად მშპ-ის პოტენციური დონიდან გადახრა მნიშვნელოვნად შემცირდა, კერძოდ, 2021 წელს ეკონომიკის აქტივობა 0.8%-ით ჩამორჩებოდა მის პოტენციურ დონეს. 2022-2023 წლებში მაღალი ეკონომიკური აქტივობის შედეგად, რეალური მშპ მის პოტენციურ დონეს აღემატებოდა, შესაბამისად, მშპ-ს გაპი ამ წლებში დადებითი იყო. კერძოდ, 2023 წელს ეკონომიკის აქტივობა 1.3%-ით აღემატებოდა მის პოტენციურ დონეს.


2. დამატებით, მშპ-ს გაპის შესახებ იხ. <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/KP0215.pdf>



დიაგრამა 5: მშპ-ის გაბი.

წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

აქვე აღსანიშნავია, რომ მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრასა და მთლიანი ფაქტორების პროდუქტიულობის ტემპს შორის მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია იკვეთება: იმ წლებში, როდესაც ქვეყანაში მთლიანი ფაქტორების პროდუქტიულობა იზრდებოდა, რეალური მშპ ან მის პოტენციურ დონესთან ახლოს, ან მასზე მეტი იყო, პროდუქტიულობის ტემპის შემცირება კი უარყოფითი გაბის პერიოდებს ემთხვეოდა. აღნიშნული ტრენდი შენარჩუნდა 2023 წელსაც, როდესაც ფაქტორების პროდუქტიულობის ზრდის პარალელურად მშპ-ს დადებითი გაბი დაფიქსირდა.



დიაგრამა 6: მშპ-ს გაბი და მთლიანი ფაქტორების პროდუქტიულობა.

წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

2. საგარეო სექტორი

2.1 მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დინამიკა

2023 წელს ნომინალურ გამოსახულებაში საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მოცულობა 2022 წელთან შედარებით 18.4%-ით გაიზარდა და 1,328 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. თუმცა, მშპ-თან მისი თანაფარდობის მაჩვენებელი 4.3%-ით განისაზღვრა, რაც, წინა წლებთან მიმართებით, რეკორდულად დაბალი მონაცემია და საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსის აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებულია მისი შემადგენელი კომპონენტების დინამიკასთან:


- 2023 წელს, გასული წლების მსგავსად, საქონლით ვაჭრობა მიმდინარე ანგარიშის ყველაზე დეფიციტური ნაწილი იყო. საქონლით სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა სალდომ 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, 19.7%-ით მოიმატა და 6,112 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავაჭრო დეფიციტის გაღრმავებამ კი მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე ნეგატიურად იმოქმედა. ასევე უარყოფითი იყო წმინდა შემოსავლების ბალანსი, რომელიც 9.3%-ით გაიზარდა და 1,916 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. საქონლით სავაჭრო ბალანსისა და წმინდა შემოსავლების დეფიციტს ნაწილობრივ ფარავს მიმდინარე ტრანზფერტებისა და მომსახურების დადებითი სალდო.
- გასული წლების მსგავსად, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები მომსახურებით ვაჭრობის პროფიციტის ძირითადი ნაწილი იყო. 2023 წელსაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მომსახურებით სავაჭრო სალდოს გაუმჯობესებამ (ძირითადად ექსპორტის ზრდის გამო), რომელიც მშპ-თან მიმართებით 11.0%-ს გაუტოლდა (2022 წელს ეს მონაცემი 10.7% იყო). 2023 წელს მომსახურებით ვაჭრობის დადებითმა სალდომ 25.5%-ით მოიმატა და 3,370 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- მომსახურებით ვაჭრობიდან, მნიშვნელოვანი დადებითი ბალანსით გამოირჩეოდა: მოგზაურობა (3,621.6 მლნ აშშ დოლარი), რომელიც წინა წელთან მიმართებით 16.5%-ით გაიზარდა. საანალიზო პერიოდში, ასევე, დადებითი იყო კომპიუტერული და საინფორმაციო (654.4 მლნ აშშ დოლარი), კავშირგაბმულობის (65.3 მლნ აშშ დოლარი), სამთავრობო (36.3 მლნ აშშ დოლარი), პირადი, კულტურული და გასართობი (9.0 მლნ აშშ დოლარი), დაზღვევისაგან განსხვავებული ფინანსური (4.5 მლნ აშშ დოლარი) მომსახურების ბალანსები. მეორე მხრივ, უარყოფითი იყო სატრანსპორტო (759.4 მლნ აშშ დოლარი), სადაზღვევო (103.5 მლნ აშშ დოლარი), როიალტი და სალიცენზიო გადასახადი (90.4 მლნ აშშ დოლარი), სამშენებლო (7.7 მლნ აშშ დოლარი) და სხვა საქმიანი მომსახურების (59.9 მლნ აშშ დოლარი) ბალანსები.
- 2023 წელს მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსის შემცირებაზე, აგრეთვე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინა მიმდინარე ტრანსფერტების მოცულობის ზრდამ. წინა წელთან შედარებით, 2023 წელს მიმდინარე ტრანსფერტების ბალანსის დადებითი სალდო 9.1%-ით გაიზარდა და 3,330 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. მათ შორის, სამთავრობო სექტორის ტრანსფერტებმა 38.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (წმინდა მიმდინარე ტრანსფერტების მთლიანი მოცულობის 1.2%), ხოლო სხვა სექტორის ტრანსფერტებმა - 3,291.5 მლნ აშშ დოლარი (98.8%).
- ამავე პერიოდში 9.3%-ით გაიზარდა შემოსავლების მუხლის უარყოფითი სალდო (1,915.8 მლნ აშშ დოლარი), რამაც 2023 წლის მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე უარყოფითად იმოქმედა.

საქართველოს საგადამხდელო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)


	2022					2023				
	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	სულ
მიმდინარე ანგარიში	-625.0	-271.6	335.4	-559.9	-1121.1	-348.7	-495.8	75.9	-558.9	-1327.5
ა. სავაჭრო ბალანსი	-1030.4	-1104.8	-1173.4	-1799.3	-5107.9	-1418.2	-1428.6	-1622.3	-1642.9	-6112.0
საქონლის ექსპორტი	1521.2	1818.7	2180.6	2043.8	7564.2	1942.2	2128.3	2076.0	1995.5	8141.9
საქონლის იმპორტი	-2551.6	-2923.5	-3354.0	-3843.1	-12672.1	-3360.3	-3556.9	-3698.3	-3638.4	-14253.9
ბ. მომსახურების ბალანსი	232.8	528.0	1172.0	753.3	2686.0	685.0	790.1	1226.6	668.5	3370.1
მომსახურების ექსპორტი	767.3	1201.0	2031.6	1645.7	5645.6	1471.1	1656.8	2184.1	1578.1	6890.1
მომსახურების იმპორტი	-534.6	-673.0	-859.6	-892.4	-2959.6	-786.1	-866.8	-957.5	-909.6	-3519.9
გ. წმინდა ფაქტორული შემოსავალი	-363.0	-419.3	-561.2	-408.9	-1752.4	-348.6	-633.1	-455.2	-478.9	-1915.8
დ. წმინდა მიმდინარე ტრანსფერები	535.6	724.5	898.0	895.0	3053.2	733.1	775.7	926.8	894.5	3330.1
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	654.2	259.2	-296.2	593.4	1210.7	361.4	463.1	-113.8	575.4	1286.2
კაპიტალის ანგარიში	3.5	13.7	7.4	18.7	43.3	7.7	10.6	10.7	11.6	40.6
ფინანსური ანგარიში	650.7	245.5	-303.6	574.7	1167.4	353.6	452.5	-124.5	563.9	1245.5
აქედან:										
პირდაპირი ინვესტიციები	462.7	321.7	774.9	207.0	1766.3	456.8	472.5	227.0	149.5	1305.7
საერთაშორისო რეზერვების ცვლილება	193.3	28.8	-499.4	-487.9	-765.3	-55.5	-117.3	-235.4	361.4	-46.8
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	-29.2	12.4	-39.2	-33.5	-89.6	-12.6	32.7	37.8	-16.6	41.3

ცხრილი 1: საქართველოს საგადამხდელო ბალანსი.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.




დიაგრამა 7: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და მისი შემადგენელი კომპონენტები, % მშპ-თან, 2015-2023 წწ. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.



დიაგრამა 8: მიმდინარე ანგარიშის ბალანსის %-ული ზრდა და კომპონენტების წვლილები, 2016-2023 წწ.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

მომსახურებით ვაჭრობის მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ 2023 წელს გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 7,072,220 შეადგინა, რაც 30.3%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ვიზიტებსაც, რომელიც 2023 წელს 6,171,540 იყო (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 31.2%).

2023 წელს შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 4,125 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 17.3%-ით მეტია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.




დიაგრამა 9: საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები და შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან, 2018-2023 წწ.
წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროებთან მიმართებაში:

- მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსის დაფინანსების ძირითად წყაროს საზღვარგარეთიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები წარმოადგენდა, რომლის მოცულობაც 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, 26%-ით შემცირდა და 1,305.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების წყაროებიდან, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად, დადებითი წვლილი სხვა ინვესტიციების მუხლმაც შეიტანა. თუმცა, წინა წელთან მიმართებით მისი ოდენობა 56.5%-ით შემცირდა და 770.4 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა.
- მიმდინარე ანგარიშის დაფინანსებაში პორტფელის ინვესტიციებს უარყოფითი წვლილი ჰქონდა. წინა წელთან შედარებით, მისმა მოცულობამ 54.3%-ით მოიკლო და 735.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- რაც შეეხება კაპიტალის ანგარიშს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში უმნიშვნელო უარყოფითი წვლილი შეიტანა [NS1] კაპიტალის მუხლში აღრიცხულმა ოპერაციებმა, რომლებიც 2022 წელთან შედარებით 6.2%-ით შემცირდა და 40.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მნიშვნელოვანია მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მოცულობის ანალიზი დანაზოგებთან და ინვესტიციებთან მიმართებაში. კერძოდ, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი წარმოადგენს სხვაობას დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობებს შორის. იმ შემთხვევაში, როდესაც მთლიანი დანაზოგები (მთავრობის და კერძო დანაზოგების ჯამური მოცულობა) აჭარბებს ინვესტიციების მოცულობას, წარმოიქმნება მიმდინარე ანგარიშის დადებითი სალდო. ხოლო, როდესაც დანაზოგები მცირეა ინვესტიციებთან შედარებით, მიმდინარე ანგარიშის სალდო დეფიციტურია. თავის მხრივ, დანაზოგები განკარგვადი შემოსავლისა და მოხმარების სხვაობას უტოლდება. შესაბამისად, დაბალი განკარგვადი შემოსავლის პირობებში დანაზოგების მოცულობა მცირეა. ასეთ დროს ინვესტიციების დაფინანსების წყაროს უცხოური სახსრები წარმოადგენს.



დიაგრამა 10: დანაზოგები-ინვესტიციები % მშპ-თან, 2004-2023 წწ.

წყარო: საქსტატი, ეროვნული ბანკი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებები


საქართველოსათვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტური ბალანსი გამოწვეულია დანაზოგების მცირე მოცულობით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კლების ტენდენციას ავლენდა, რაც ძირითადად მთლიანი დანაზოგების მოცულობის ზრდას უკავშირდებოდა. აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა კოვიდპანდემიის დროს, როდესაც გაიზარდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, ისევე როგორც შემცირდა მთავრობის და კერძო დანაზოგები. თუმცა 2022-2023 წლებში ორივე სახის დანაზოგის შემთხვევაში ზრდა დაფიქსირდა და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად შემცირდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი.

2023 წელს მთლიანი ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 24.1%-დან 25.9%-მდე. ბოლო წლების განმავლობაში, 2021 წლის გარდა, ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი მსგავს დინამიკას ინარჩუნებდა და დაახლოებით 26%-ის ფარგლებში ფიქსირდებოდა. 2023 წელს მთავრობის დანაზოგები დადებითი იყო და მშპ-ს 5.2%-ს შეადგენდა, ხოლო კერძო დანაზოგები წინა წელთან შედარებით 14.4%-დან 16.4%-მდე გაიზარდა.

2.2 საგარეო ვაჭრობის დინამიკა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე)

2023 წელს:

- საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე), წინა წელთან შედარებით, 13.4%-ით გაიზარდა და 21,691 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის, ექსპორტმა 9.1%-ით მოიმატა, ხოლო იმპორტმა 15.1%-ით. ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი 39.0%-ით განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს დაფიქსირდა საქართველოდან ექსპორტის რეკორდული მოცულობა, რამაც 6.1 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა.
- საგარეო სავაჭრო დეფიციტი წინა წელთან შედარებით 19.4%-ით გაიზარდა და 9,510 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მისი თანაფარდობის მაჩვენებელი საგარეო საქონელბრუნვის მიმართ 43.8%-ს გაუტოლდა (2022 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 41.6%-ს შეადგენდა).



დიაგრამა 11: ექსპორტ-იმპორტის მოცულობა, მლნ აშშ დოლარი, 2016-2023 წწ.

წყარო: საქსტატი.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები 2018-2023 წლებში


	2018	2019	2020	2021	2022	2023
ექსპორტი	3,380	3,798	3,341	4,243	5,583	6,091
იმპორტი	9,361	9,518	8,049	10,099	13,548	15,600
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	12,741	13,316	11,390	14,341	19,131	21,691
საღდო	-5,982	-5,720	-4,708	-5,856	-7,964	-9,509
ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვაში,%	26.5	28.5	29.3	29.6	29.2	28.1
ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი,%	36.1	39.9	41.5	42.0	41.2	39.0

ცხრილი 2: საქართველოს საგარეო ვაჭრობის განმაზოგადებელი მაჩვენებლები 2018-2023 წლებში (მლნ აშშ დოლარი).
წყარო: საქსტატი.


რეგიონულ-ტრილში საგარეო სავაჭრო ბრუნვა შემდეგ ტენდენციას ავლენს:

2023 წელს ევროკავშირის წილმა მთლიან ექსპორტში 11.6% შეადგინა, დსთ-ის ქვეყნების წილმა - 65.9%, ხოლო დანარჩენი ქვეყნების წილმა - 22.5%. საყურადღებოა, რომ ბოლო წლებში ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, გარდა 2019-2020 წლებისა. 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვამ 15.6%-ით მოიმატა, აქედან ექსპორტი 18.3%-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი 25.1%-ით გაიზარდა. 2023 წელს 14.1%-ით გაიზარდა სავაჭრო ბრუნვა დსთ-ს ქვეყნებთან, მათ შორის: ექსპორტმა 49.5%-ით მოიმატა, იმპორტი კი 11.4%-ით შემცირდა. საანალიზო პერიოდში საქონელბრუნვა ასევე გაიზარდა დანარჩენ ქვეყნებთან (11.9%-ით). როგორც ვაჭრობის რეგიონული ანალიზიდან ჩანს, 2023 წელს საქონლით სავაჭრო ბრუნვის ზრდა დაფიქსირდა როგორც ევროკავშირთან, ასევე დსთ-ის ქვეყნებთან და დანარჩენი ქვეყნების ჯგუფთან.

2023 წელს საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები იყვნენ: თურქეთი (2,984 მლნ აშშ დოლარი, მთლიანი საგარეო საქონელბრუნვის 14%), რუსეთი (2,402 მლნ აშშ დოლარი, 11%), აშშ (2,143 მლნ აშშ დოლარი, 10%), ჩინეთი (1,640 მლნ აშშ დოლარი, 8%), აზერბაიჯანი (1,518 მლნ აშშ დოლარი, 7%). სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში აღნიშნული 5 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილი 49.3%-ით განისაზღვრა, ხოლო 10 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის - 68.7%-ით.



დიაგრამა 12: სავაჭრო ბრუნვა რეგიონების მიხედვით, მლნ აშშ დოლარი, 2016-2023 წწ.
წყარო: საქსტატი.



დიაგრამა 13: ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, 2023 წ.
წყარო: საქსტატი.

ექსპორტის მიხედვით, 2023 წელს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენდნენ³:

- აზერბაიჯანი (862 მლნ აშშ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 14%);
- სომხეთი (787 მლნ დოლარი, 13%);
- ყაზახეთი (703 მლნ აშშ დოლარი, 12%);
- ყირგიზეთი (696 მლნ დოლარი, 11%);
- რუსეთი (657 მლნ აშშ დოლარი, 11%).
-

აღნიშნული 5 ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნის წილმა 2023 წელს ექსპორტის მთლიან მოცულობაში 60.8% შეადგინა (წინა წელს 55.0%), ხოლო 10 უმსხვილესმა ქვეყანამ - 80.3% (წინა წელს 78.5%), რაც იმაზე მიუთითებს, რომ 2022 წელთან მიმართებით, 2023 წელს ექსპორტი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მიხედვით შედარებით ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

იმპორტის მიხედვით, 2023 წელს საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შეადგენდნენ⁴:

- თურქეთი (2,575 მლნ აშშ დოლარი, მთლიანი იმპორტის 17%);
- აშშ (2,046 მლნ აშშ დოლარი, 13%);
- რუსეთი (1,745 მლნ აშშ დოლარი, 11%);
- ჩინეთი (1,329 მლნ აშშ დოლარი, 9%);
- გერმანია (974 მლნ აშშ დოლარი, 6%).

2023 წელს 5 უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნის წილმა მთლიან იმპორტში 55.6% შეადგინა (წინა წელს - 51.8%), ხოლო 10 იმპორტიორი ქვეყნის მიხედვით - 70.7% (წინა წელს - 67.5%), ანუ იმპორტიორი ქვეყნების დივერსიფიცირება წინა წელთან შედარებით შემცირდა.

რაც შეეხება საგარეო სავაჭრო ბრუნვას სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებლების დინამიკა წარმოდგენილია ცხრილი №3, №4 და დიაგრამა №15.

3. რაც შეეხება 3 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით (თურქეთი, რუსეთი, აშშ), 2023 წელს საქართველოდან განხორციელებულმა ექსპორტმა თურქეთში 409 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ექსპორტის 7%, ძირითადი სასაქონლო ჯგუფები - ელექტროენერგია, ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფეროშენადნობები). რუსეთში ექსპორტი 657 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა (მთლიანი ექსპორტის 11%, ძირითად საექსპორტო საქონელს შეადგენდა - ღვინო, სპირტიანი სასმელები, მსუბუქი ავტომობილები, მინერალური წყალი და უალკოჰოლო სასმელები). აშშ-ში ექსპორტი 97 მლნ აშშ დოლარის ოდენობით დაფიქსირდა (მთლიანი ექსპორტის 2%, ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები - ფეროშენადნობები, ღვინო).


4. აღნიშნული ქვეყნებიდან 2023 წელს საქართველოში განხორციელებული იმპორტის მოცულობამ შეადგინა - თურქეთიდან 2,575 მლნ აშშ დოლარი (წილი მთლიან იმპორტში 17%, ძირითადი საიმპორტო სასაქონლო პოზიციები: სამკურნალო საშუალებები, მსუბუქი ავტომობილები, ლითონის კონსტრუქციები, სიგარეტები); რუსეთიდან 1,745 მლნ აშშ დოლარი (წილი 11%, უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ნავთობის აირები, ფოლადის წნელები, ხორბალი). აშშ-დან 2,039 მლნ აშშ დოლარი (წილი 13%, საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები: მსუბუქი ავტომობილები, აგრეთვე მეორადი ტანსაცმელი და სხვა).

	2018	2019	2020	2021	2022	2023
მსუბუქი ავტომობილები	429	733	401	457	906	2127
სპილენძის მადანი	504	634	781	816	1024	479
ღვინო	197	223	210	239	253	259
სპირტი და სპირტიანი სასმელები	129	127	132	156	139	196
ფეროშენადნობები	353	303	247	477	460	181
აზოტოვანი სასუქები	92	95	72	120	281	158
მინერალური და მტკნარი წყლები	118	134	117	142	113	132
სამკურნალო საშუალებები	147	172	99	99	110	127
უალკოჰოლო სასმელები	27	27	32	58	83	109
ელექტროენერჯია	20	8	6	16	84	95

ცხრილი 3: ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების დინამიკა, 2018-2023 წწ.
წყარო: საქსტატი.

	2018	2019	2020	2021	2022	2023
მსუბუქი ავტომობილები	840	1,108	779	935	1,714	3,318
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	864	758	499	823	1,335	1,167
სამკურნალო საშუალებები	339	355	327	382	404	543
ნავთობის აირები	291	328	315	342	458	445
სატელეფონო აპარატები	198	212	165	226	324	375
სპილენძი	397	604	579	734	775	237
სატვირთო ავტომობილები	75	72	72	105	104	173
გამომთვლელი მანქანები	127	76	65	148	184	159
სიგარეტები	187	105	89	102	130	159
წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	81	57	50	74	119	136


ცხრილი 4: ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების დინამიკა, 2018-2023 წწ.
წყარო: საქსტატი.



დიაგრამა 14: საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, 2023 წელი.
წყარო: საქსტატი.


როგორც დიაგრამებიდან ვლინდება:

- საქართველოდან განხორციელებული ექსპორტი ძირითადად რამდენიმე სახეობის საქონელზეა კონცენტრირებული, რაც საგარეო მოთხოვნის მკვეთრი რყევების პირობებში პოტენციური ეკონომიკური რისკების შემცველია. მაგალითად, 2012-2014 წლებში საქართველოდან ექსპორტის ერთ-ერთ უმსხვილეს სასაქონლო პოზიციას მსუბუქი ავტომობილები წარმოადგენდა (ძირითადად აზერბაიჯანსა და სომხეთში). იმპორტიორ ქვეყნებში მიღებული რეგულაციების გავლენით, 2015 წელს, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი წინა წელთან შედარებით 65.4%-ით შემცირდა და მხოლოდ 179 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ექსპორტის 8%). თუმცა, იმპორტიორ ქვეყნებში შემოღებული ახალი სტანდარტების გათვალისწინებით 2018 და 2019 წლებში აღნიშნული საექსპორტო სასაქონლო ჯგუფის ზრდა კვლავ შესამჩნევი იყო - 2019 წელს ზრდის ტემპმა 71% შეადგინა და 733 მლნ აშშ დოლარს მიაღწია (მთლიანი ექსპორტის 19%). 2020 წელს კორონავირუსის პანდემიამ გავლენა იქონია მსუბუქი ავტომობილების ექსპორტზეც, 45%-იანი კლების შემდეგ, მისი ოდენობა მხოლოდ 401 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. მომდევნო 2022-2023 წლებში მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, 135%-ით მოიმატა და რეკორდულ მონაცემს - 2,127 მლნ აშშ დოლარს მიაღწია (მთლიანი ექსპორტის 35%). საყურადღებოა, რომ მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის ტრადიციულ ბაზრებს დაემატა გეოგრაფიულად დაშორებული ცენტრალური აზიის ქვეყნებიც, მათ შორის: ყირგიზეთი (მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის 29%), ყაზახეთი (წილი 28%) და სხვა.



დიაგრამა 15: ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები , 2023 წ, %.
წყარო: საქსტატი.

- 2023 წელს საქართველოში განხორციელებული იმპორტის მთლიან მოცულობაში 5 ძირითადი სასაქონლო ჯგუფის ხვედრითი წილი 37.5% იყო (2022 წელს 31.3%), ხოლო 10 ძირითადი სასაქონლო ჯგუფის - 43.0% (2022 წელს 40.9%), რაც ექსპორტთან შედარებით, იმპორტის დივერსიფიცირების უფრო მაღალ ხარისხზე მიუთითებს.



დიაგრამა 16: ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები , 2023 წ, %.
წყარო: საქსტატი.

ამავე დროს, ზოგიერთი მნიშვნელოვანი სასაქონლო ჯგუფის იმპორტი კონცენტრირებულია მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ქვეყანაზე. კერძოდ, 2023 წელს ხორბლისა და ფქვილის იმპორტის უდიდესი წილი, შესაბამისად - 98% და 96% რუსეთიდან განხორციელდა. კვლავ მაღალია, თუმცა, წინა წლებთან შედარებით, შემცირდა ნავთობის აირების მოწოდება აზერბაიჯანიდან, რომელმაც 2023 წელს 70% შეადგინა. ასევე მაღალია რუსეთის წილი ნავთობპროდუქტების მოწოდებაში (47%).

საქონელი								
ქვეყნების წილი შესაბამის სასაქონლო ჯგუფებში		მსუბუქი ავტომობილები	სპილენძის მადნები	ღვინო	სპირტიანი სასმელები	ფეროშენადნობები	აზოტოვანი სასუქები	მინერალური და მტკნარი წყლები
	51-100%			რუსეთი (65%)				
	10-50%	ყირგიზეთი (29%)	ბულგარეთი (50%)	პოლონეთი (6%)	რუსეთი (34%)	აშშ (38%)	პერუ (39%)	რუსეთი (47%)
		ყაზახეთი (28%)	ჩინეთი (37%)	უკრაინა (6%)	უკრაინა (12%)	რუსეთი (26%)	რუმინეთი (14%)	ყაზახეთი (19%)
		აზერბაიჯანი (21%)	ესპანეთი (12%)	ჩინეთი (5%)	სომხეთი (12%)	თურქეთი (21%)	მაროკო (11%)	უკრაინა (11%)
		სომხეთი (14%)			საფრანგეთი (9%)		ტანზანია (7%)	ლიეტუვა (6%)
				ბელარუსი (9%)		პანამა (4%)	უზბეკეთი (6%)	

ცხრილი 5: 7 უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები დანიშნულების ქვეყნების მიხედვით, 2023 წ., %.
წყარო: საქსტატი.

2023 წელს საქართველოდან 10 უმსხვილეს საექსპორტო სასაქონლო ჯგუფს წარმოადგენდა:

- მსუბუქი ავტომობილები - (2,127 მლნ აშშ დოლარი, წილი მთლიან ექსპორტში 35%). მთავარი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი (მსუბუქი ავტომობილების მთლიანი ექსპორტის 29%), ყაზახეთი (წილი 28%), აზერბაიჯანი (წილი 21%), სომხეთი (წილი 14%);
- სპილენძის მადნები - (479 მლნ აშშ დოლარი, წილი მთლიან ექსპორტში 8%). დანიშნულების ქვეყნები ძირითადად - ბულგარეთი (ექსპორტირებული სპილენძის მადნების 50%), ჩინეთი (წილი 37%), ესპანეთი (წილი 12%);
- ნატურალური ღვინო - (259 მლნ აშშ დოლარი, წილი მთლიან ექსპორტში 4%). მნიშვნელოვანი გასაღების ბაზრები: რუსეთი (ექსპორტირებული ღვინის 65%), პოლონეთი (წილი 6%), უკრაინა (წილი 6%), ჩინეთი (წილი 5%) და სხვა;
- სპირტი და სპირტიანი სასმელები - (196 მლნ აშშ დოლარი, წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში 3%). მნიშვნელოვანი ნაწილი გავიდა რუსეთში (34%), უკრაინაში (12%), სომხეთში (12%), საფრანგეთში (9%), ბელარუსში (9%) და სხვა;
- ფეროშენადნობები - 181 მლნ აშშ დოლარი (წილი მთლიან ექსპორტში 3%). დიდი ნაწილი გავიდა აშშ-ში (38%), აგრეთვე რუსეთსა (26%) და თურქეთში (21%);
- აზოტოვანი სასუქები -158 მლნ აშშ დოლარი (წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში 3%). ექსპორტირება ძირითადად განხორციელდა პერუში (39%), რუმინეთში (14%), მაროკოში (11%), ტანზანიაში (7%);

- მინერალური და მტკნარი წყალი - 132 მლნ აშშ დოლარი (წილი მთლიან ექსპორტში 2%). უმსხვილეს საექსპორტო ქვეყანას რუსეთი წარმოადგენდა (47%), აგრეთვე - ყაზახეთი (19%), უკრაინა (11%), ლიეტუვა (6%), უზბეკეთი (6%) და სხვა;
- სამკურნალო საშუალებები - 127 მლნ აშშ დოლარი (წილი მთლიან ექსპორტში 2%). დანიშნულების ქვეყნები: უზბეკეთი (52%), აზერბაიჯანი (21%), სომხეთი (9%);
- უალკოჰოლო სასმელები - 109 მლნ აშშ დოლარი (წილი მთლიან ექსპორტში 2%). მთავარ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენდა რუსეთი (56%), ასევე აზერბაიჯანი (12%) და სომხეთი (10%);
- ელექტროენერჯია - 95 მლნ აშშ დოლარი (წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში 2%). ექსპორტი ძირითადად განხორციელდა თურქეთში (90%).

საქონელი								
ქვეყნების წილი შესაბამის სასაქონლო ჯგუფებში		მსუბუქი ავტომობილები	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	სამკურნალო საშუალებები	ნავთობის აირები	სატელეფონო აპარატები	სპილენძის მადნები	სატვირთო ავტომობილები
	51-100%	აშშ (58%)				აზერბაიჯანი (70%)	არაბთა გაერთიანებული საამიროები (52%)	სომხეთი (72%)
10-50%		გერმანია (10%)	თურქმენეთი (7%)	საფრანგეთი (6%)		ჰონ-კონგი (6%)	ჩილე (9%)	თურქეთი (12%)
		იაპონია (17%)	აზერბაიჯანი (8%)	უნგრეთი (8%)		ვიეტნამი (7%)	ინდონეზია (11%)	ჩინეთი (15%)
			ბულგარეთი (8%)	შვეიცარია (10%)		ჩეხეთი (20%)		გერმანია (26%)
			რუმინეთი (14%)	გერმანია (11%)				
			რუსეთი (47%)	თურქეთი (28%)	რუსეთი (30%)			

ცხრილი 6: 7 უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები დანიშნულების ქვეყნების მიხედვით, 2023 წ. %
წყარო: საქსტატი.


2023 წელს საქართველოში 10 უმსხვილეს საიმპორტო სასაქონლო ჯგუფს შეადგენდა:

- მსუბუქი ავტომობილები - 3,290 მლნ აშშ დოლარი (წილი მთლიან იმპორტში 21%). იმპორტი განხორციელდა უმთავრესად აშშ-დან (იმპორტირებული მსუბუქი ავტომობილების 58%), იაპონიიდან (17%) და გერმანიიდან (10%);
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 1,167 მლნ აშშ დოლარი (წილი მთლიან იმპორტში 7%). ძირითადად მოწოდებული იქნა რუსეთიდან (47%), რუმინეთიდან (14%), ბულგარეთიდან (8%), აზერბაიჯანიდან (8%), თურქმენეთიდან (7%);
- სამკურნალო საშუალებები - 543 მლნ აშშ დოლარი (წილი იმპორტის მთლიან მოცულობაში 3%). საკმაოდ ვრცელი იყო მომწოდებელი ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთაგან აღსანიშნავია: თურქეთი (28%), გერმანია (11%), შვეიცარია (10%), უნგრეთი (8%), საფრანგეთი (6%) და სხვა;
- ნავთობის აირები - 445 მლნ აშშ დოლარი (წილი მთლიან იმპორტში 3%). იმპორტი განხორციელდა ძირითადად აზერბაიჯანიდან (70%) და რუსეთიდან (30%);
- სატელეფონო აპარატები - 375 მლნ აშშ დოლარი (წილი მთლიან იმპორტში 2%). იმპორტი განხორციელდა უმთავრესად არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან (52%), ჩეხეთიდან (20%), ვიეტნამიდან (7%), ჰონ-კონგიდან (6%);

- სპილენძის მადნები - 237 მლნ აშშ დოლარი (წილი მთლიან იმპორტში 2%). მოწოდებული იყო სომხეთიდან (72%), ინდონეზიიდან (11%) და ჩილეიდან (9%);
- სატვირთო ავტომობილები - 173 მლნ აშშ დოლარი (წილი იმპორტის მთლიან მოცულობაში 1%). იმპორტი უმთავრესად განხორციელდა გერმანიიდან (26%), ჩინეთიდან (15%) და თურქეთიდან (12%);
- გამომთვლელი მანქანები - 159 მლნ აშშ დოლარი (წილი მთლიან იმპორტში 1%). იმპორტი განხორციელდა ჩინეთიდან (38%), ჩეხეთიდან (14%), ჰონ-კონგიდან (11%), ნიდერლანდებიდან (10%) და სხვა;
- სიგარეტები - 159 მლნ აშშ დოლარი (წილი მთლიან იმპორტში 1%). ძირითადი მომწოდებელი ქვეყნები იყვნენ: თურქეთი (35%), სომხეთი (17%), არაბთა გაერთიანებული საემიროები (13%) და სხვა.
- ფოლადის წნელები - 136 მლნ აშშ დოლარი (წილი იმპორტის მთლიან მოცულობაში 1%). ძირითადად იმპორტირებული იყო რუსეთიდან (43%), ირანიდან (29%), აზერბაიჯანიდან (24%);

2.2.1 ფულადი გზავნილები

2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, საქართველოში ფულადი გზავნილები 5.7%-ით შემცირდა (რაც მნიშვნელოვანწილად, საბაზო ეფექტს, აგრეთვე მიგრაციული ნაკადების შენელებას უკავშირდება) და 4,123.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2023წელს, წინა წელთან მიმართებით, ფულადი გზავნილების ოდენობა გაიზარდა ევროკავშირიდან (20.9%-ით), დანარჩენი ქვეყნებიდან (24.2%-ით), შემცირდა დსთ-დან (26.0%-ით). შესაბამისად, 2023 წელს შემცირდა დსთ-ის ქვეყნების წილი გზავნილების მთლიან მოცულობაში და 45.6% შეადგინა (2022 წელს - 58.0%), მოიმატა ევროკავშირის წილმა, რომელიც 31.3%-ით განისაზღვრა (2022 წელს - 24.4%). ასევე მოიმატა დანარჩენი ქვეყნების წილმა და 23.1% შეადგინა (2022 წელს - 17.5%). აღნიშნულ პერიოდში რუსეთიდან ჩარიცხვები 26.2%-ით შემცირდა, ხოლო მისმა წილმა მთლიან გზავნილებში 37.0% შეადგინა, მაშინ როდესაც 2022 წელს ეს მაჩვენებელი 47.3% იყო.




დიაგრამა 17: ქვეყნების % წილი საქართველოს ფულად გზავნილებში, 2023 წელი.
წყარო: ეროვნული ბანკი.

2023 წელს, წინა წელთან შედარებით, ფულადი გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან:

- აშშ-დან (39.6%-ით, 456.4 მლნ აშშ დოლარი);
- გერმანიიდან (39.1%-ით, 228.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა);
- ყაზახეთიდან (32.4%-ით, 198.7 მლნ აშშ დოლარი);
- იტალიიდან (20.1%-ით, 518.6 მლნ აშშ დოლარი);
- თურქეთიდან (11.7%-ით, 112.8 მლნ აშშ დოლარი);
- ესპანეთიდან (8.7%-ით, 62.0 მლნ აშშ დოლარი);
- საბერძნეთიდან (8.5%-ით, 243.0 მლნ აშშ დოლარი);
- ისრაელიდან (8.1%-ით, 215.2 მლნ აშშ დოლარი).


წინა წელთან შედარებით, 2023 წელს ფულადი გზავნილების მოცულობა შემცირდა: რუსეთიდან 26.2%-ით და 1,526.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მიუხედავად ამისა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, რუსეთის წილი მნიშვნელოვნად მაღალი იყო მთლიან გზავნილებში), ყირგიზეთიდან (კლება 55.9%-ით, 47.1 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანიდან (კლება 16.0%-ით, 46.4 მლნ აშშ დოლარი), პოლონეთიდან (კლება 10.8%-ით, 30.0 მლნ აშშ დოლარი) და სხვა.



დიაგრამა 18: ფულადი გზავნილები საქართველოში, მლნ აშშ დოლარი.
წყარო: ეროვნული ბანკი.

2.2.2 საერთაშორისო რეზერვები

2023 წლის ბოლოსათვის - დეკემბერში საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 5,010 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა (3.4 თვის იმპორტის ჯერადი⁵), რაც 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.2%-ით მეტია, წინა თვესთან მიმართებით კი 2.2%-ით ნაკლები. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 4,902 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც 3.8 იმპორტის ჯერადს წარმოადგენდა. 2023 წელს საერთაშორისო რეზერვების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი სავალუტო ინტერვენციებმა შეიტანა (წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 167 მლნ აშშ დოლარი გაყიდა, ხოლო წლის განმავლობაში მთლიანად წმინდა შესყიდვებმა 1.28 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რომელიც მოიცავდა BMatch პლატფორმაზე განხორციელებულ ოპერაციებსაც⁶). ასევე, მნიშვნელოვანი იყო მთავრობის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრები (მათ შორის: პროგრამული გრანტები, სესხები). საერთაშორისო რეზერვების კლების მიმართულებით კი გავლენა იქონია საგარეო ვალის მომსახურების, კომერციული ბანკების სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთების ცვლილებამ და მთავრობის სხვა სავალუტო ხარჯებმა.



დიაგრამა 19: ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები, მლნ აშშ დოლარი.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.


5. რეზერვების შესაბამისი დონის დასადგენად განვითარებადინაკლებად მომნიშვნელო საბაზრო ეკონომიკებისთვის და ნაკლებად ღია კაპიტალის ანგარიშების მქონე ქვეყნებისთვის, იმპორტის ჯერადი ხშირად განიხილება, როგორც შესაბამისი საზომი, რაც ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენ ხანს შეიძლება შენარჩუნდეს იმპორტი შოკის შემთხვევაში. სამი თვის იმპორტი ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც საორიენტაციო ნიშანი. თუმცა, ამ საზომის გამოყენება ნაკლებად სასარგებლო გახდა ფინანსურად გახსნილი ქვეყნებისთვის.

6. საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში. 2023.

2.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2023 წელს:

- საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1,595 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 24.0%-ით ნაკლებია 2022 წლის მონაცემთან შედარებით. მათ შორის: ევროკავშირის ქვეყნებიდან⁷ 525 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 32.9%), დსთ-ის ქვეყნებიდან 219 მლნ აშშ დოლარი (13.7%), დანარჩენი ქვეყნებიდან კი 851 მლნ აშშ დოლარი (53.4%). 2023 წლის განმავლობაში ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადი არათანაბარი იყო, კერძოდ, წლის პირველ ნახევარში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა (1,072 მლნ აშშ დოლარი) 2-ჯერ მეტი იყო წლის მეორე ნახევრის მონაცემზე (523 მლნ აშშ დოლარი). 2023 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება ძირითადად სავალდებულებების კლებასთან იყო დაკავშირებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სააქციო კაპიტალში ინვესტიციები 68.3%-ით გაიზარდა და 1,173 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- საგადასახდლო ბალანსში აღრიცხულ საქართველოში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რეინვესტირებული შემოსავლების მოცულობა წინა წელთან შედარებით 7.2%-ით არის შემცირებული, თუმცა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მისი წილი. კერძოდ, 2023 წელს რეინვესტირებული შემოსავლების წილის მაჩვენებელი საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებში 80%-ს შეადგენდა (2022 წელს - 66%).
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანაფარდობის მაჩვენებელმა მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 2023 წელს 5.2% შეადგინა.




დიაგრამა 20: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა რეგიონულ ტრილში, 2016-2023 წწ.


წყარო: საქსტატი.

7. 2021 წლიდან გაერთიანებული სამეფო ევროკავშირის ქვეყნების ჯგუფიდან გადავიდა დანარჩენი ქვეყნების ჯგუფში

რეგიონულ ჭრილში, ძირითად ინვესტორ ქვეყნებს წარმოადგენდნენ: გაერთიანებული სამეფო (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 24.6%), ნიდერლანდები (22.6%), თურქეთი (10.6%), აშშ (9.6%) და სხვა. ხოლო, დარგობრივ ჭრილში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა: საფინანსო და სადამზღვევო სექტორში (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39.5%), დამამუშავებელ მრეწველობაში (18.3%), ტრანსპორტში (8.7%), ვაჭრობაში (7.3%) და სხვა.



დიაგრამა 21: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2023 წ. წყარო: საქსტატი.



დიაგრამა 22: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2023 წ. წყარო: საქსტატი.

საქონელი

		საფინანსო	ენერგეტიკა	დამამუშავებელი მრეწველობა	უძრავი ქონება	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება
ქვეყნები, რომელთა წილი აღემატება 10%-ს	10-50%	თურქეთი (1.5%)	რუსეთი (1.2%)	დანია (4.2%)	ნიდერლანდები (8.1%)	ლუქსემბურგი (9.7%)
		გერმანია (1.8%)	კვიპროსი (1.5%)	კვიპროსი (5.6%)	სომხეთი (8.6%)	
		მალტა (2.5%)	ბელგია (1.8%)	ყაზახეთი (7.7%)	არაბთა გაერთიანებული საემიროები (10.7%)	
		რუსეთი (5.1%)	ვირჯინიის კუნძულები (1.9%)	ვირჯინიის კუნძულები (11.4%)	ყაზახეთი (10.7%)	
		ნიდერლანდები (8.0%)	თურქეთი (8.4%)	აზერბაიჯანი (49.0%)	შვეიცარია (13.2%)	
	50<%	გაერთიანებული სამეფო (64.5%)	ნიდერლანდები (83.7%)			ნიდერლანდები (63.9%)
						თურქეთი (51.6%)

ცხრილი 7: ძირითადი საინვესტიციო დარგების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით, 2023 წ.

წყარო: საქსტატი⁸


8. აღნიშნულ სტრუქტურაში ჯამურად 100%-ზე მაღალი წილი შესაძლოა გამოწვეულ იქნას ზოგიერთ ქვეყნის უარყოფითი მნიშვნელობით.

3. ფისკალური სექტორი

3.1 საბიუჯეტო აგრეგატების მიმოხილვა

2023 წელს:


- ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა 22,124 მლნ ლარი შეადგინა, რაც 14.2%-ით მეტია 2022 წლის მაჩვენებელზე. მათ შორის, საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 13.5%-ით, გრანტები შემცირდა 9.1%-ით, ხოლო სხვა შემოსავლები გაიზარდა 27.0%-ით.
- გრანტებისა და სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულმა თანხებმა ერთობლივად მთლიანი შემოსავლების 10.8% შეადგინა, რაც 0.5 პპ-ით მეტია გასულ წელთან შედარებით (2022 წელს - 10.3%).



დიაგრამა 23: ნაერთი ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლების კომპონენტები, მლნ ლარი.
წყარო: ფინანსთა სამინისტრო.

გადასახადების ტიპების მიხედვით დინამიკის ანალიზისათვის საყურადღებოა 2016 წლის განხორციელებული სახაზინო რეფორმა, რომლის საფუძველზეც ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი. შედეგად, გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდეგ გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტობრივად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით. აღნიშნულმა რეფორმამ, ერთი მხრივ, გაამარტივა გადასახადის გადამხდელთათვის გადახდის პირობები, თუმცა გამოიწვია ცვლილებები აღრიცხვის სპეციფიკასა და გადასახადების კლასიფიცირებაში და აღნიშნულის გავლენით, გამოწვევები შექმნა გადასახადების ტიპების მიხედვით შემოსავლების მობილიზების გასული წლების მონაცემებთან შესადარისობის კუთხით. ამასთან, 2020 წელს საგადასახადო შემოსავლებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია Covid-19-ის პანდემიამ. თუმცა, 2021 წლიდან ეკონომიკური აქტივობის ზრდის შედეგად ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების ოდენობას ზრდის ტენდენცია გააჩნია, მათ შორის 2023 წელსაც. კერძოდ:

- 2023 წელს, 2022 წელს დაფიქსირებული ზრდის შემდეგ, აგრეთვე ზრდა დაფიქსირდა დამატებული ღირებულების და საშემოსავლო გადასახადებით მობილიზებულ თანხებში, შესაბამისად 12.5% და 20.6%-ით.
- 2023 წელს გაიზარდა მოგების და აქციზის გადასახადები, შესაბამისად 88 და 260 მლნ ლარით. აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადის რეფორმის შემდეგ მოგების გადასახადი ზედიზედ მეხუთე წელს გაიზარდა.
- გაიზარდა ქონებისა და იმპორტის გადასახადები, შესაბამისად 45 და 25 მლნ ლარით.
- 2023 წელს, წინა წლის მსგავსად, სხვა გადასახადების დადებითი მაჩვენებელი დაფიქსირდა და მისი ოდენობა 186 მლნ ლარს გაუტოლდა. სხვა გადასახადის ასეთი თავისებურება უკავშირდება სახაზინო კოდის რეფორმას და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ პროცესებს (2016 წელს სხვა გადასახადები 27 მლნ-დან 527 ლარამდე იყო გაზრდილი, 2017 წელს იგი 527-დან 64 მლნ ლარამდე შემცირდა, 2018 წელს 115 მლნ ლარამდე გაიზარდა. კოვიდპანდემიის პერიოდში აღინიშნა მისი მნიშვნელოვანი კლება და დაფიქსირდა უაყოფითი მაჩვენებლები: 2019 წელს -230 მლნ ლარის, ხოლო 2020 წელს -246 მლნ ლარის ოდენობით. 2021-2022 წლებში ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად სხვა გადასახადების მაჩვენებელი კვლავ დადებითი გახდა და შესაბამისად 94 მლნ ლარის და 229 მლნ ლარის ოდენობას მიაღწია).




დიაგრამა 24: გადასახადების წვლილი საგადასახადო შემოსავლების ზრდაში.
წყარო: ფინანსთა სამინისტრო; საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, 2023 წელს:

- 2022 წელთან შედარებით 14.7%-ით გაიზარდა ე.წ. მიმდინარე ხარჯები, რამაც შემოსავლების ზრდასთან ერთად გააუმჯობესა ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო (444 მლნ ლარით) და მნიშვნელოვნად გაზრდილი არაფინანსური აქტივების პარალელურად 6.9%-ით გაზარდა უარყოფითი მთლიანი სალდო;
- 2023 წელს ყველაზე მეტად სოციალური უზრუნველყოფის (781 მლნ ლარით) და დაქირავებულთა შრომის ანაზღაურების (465 მლნ ლარით) მუხლით განეული ხარჯები გაიზარდა, რომლებმაც ერთობლივად მიმდინარე ხარჯის ზრდის 54.1% შეადგინეს.
- ზრდის ტენდენციას ავლენს არაფინანსური აქტივების შექცევა, რომელიც 565 მლნ ლარით გაიზარდა და 6,533 მლნ ლარი შეადგინა.
- ჯამურად, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 2023 წელს 122 მლნ ლარით გაიზარდა და 1,888 მლნ ლარი შეადგინა (მშპ-ს 2.4%).

2023 წელს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება ძირითადად მოხდა ვალდებულებების მუხლით, რომელიც წინა წელთან შედარებით 350 მლნ ლარით შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დეფიციტის 2.4%-იანი მაჩვენებელი 0.6 პპ-ით ნალეგია მთავრობის მიერ 2022 წლის დეკემბრის თვეში ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების დოკუმენტით წარმოდგენილ საპროგნოზო მაჩვენებელს (3.0%), ხოლო საბიუჯეტო ოფისის იმავე პერიოდის საპროგნოზო ინდიკატორს 0.4 პპ-ით ჩამორჩება (2.8%).



დიაგრამა 25: ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროების სტრუქტურა.
წყარო: ფინანსთა სამინისტრო.

3.2 ფისკალური პოლიტიკის იმპულსი და ფისკალური სივრცე

ფისკალური ინდიკატორების რაოდენობრივ შეფასებასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია შევამოთ ფისკალური პოლიტიკის გავლენის მიმართულება ეკონომიკაზე. უნდა განვსაზღვროთ ფისკალურმა პოლიტიკამ წაახალისა ეკონომიკა (ექსპანსიური, მასტიმულირებელი), თუ შეზღუდა ეკონომიკური აქტივობა (შემზღუდავი). გარდა ამისა, ფისკალური პოლიტიკიდან უნდა გამოვრიცხოთ ე.წ. ავტომატური სტაბილიზატორები (რომლებიც ეკონომიკური ციკლების დროს იცვლება) და მხოლოდ უნდა განვიხილოთ, ე.წ. დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა. თავის მხრივ, დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა განხილული უნდა იქნეს ეკონომიკურ ციკლებთან მიმართებაში. როგორც ვიცით, ეკონომიკის მოკლევადიანი სტაბილურობისთვის გარდა ცალკეული გამონაკლისი შემთხვევებისა, საჭიროა, რომ ფისკალური პოლიტიკა ხელს უწყობდეს ეკონომიკური ციკლების მოსწორებას, მიმართავდეს რა კონსოლიდაციას ეკონომიკური ბუმის პერიოდში და - ექსპანსიას ეკონომიკის შენელებისას.


შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკის მიმართულებისა და ციკლურობის შესაფასებლად უნდა განვსაზღვროთ ფისკალური პოზიცია, როგორც ციკლურად კორექტირებული პირველადი სალდო და ბალანსი უარყოფითი ნიშნით. დადებითი ფისკალური პოზიცია ნიშნავს, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ხოლო უარყოფითი ფისკალური პოზიცია ნიშნავს, რომ სახელმწიფო ეკონომიკიდან მეტ რესურსს იღებს, ვიდრე აბრუნებს (ფისკალური კონსოლიდაცია). ასევე, განვსაზღვროთ ფისკალური იმპულსი, როგორც ფისკალური პოზიციის ცვლილება. თუ გამოშვების გაპი მცირდება, ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკისთვის აუცილებელია ან ნაკლები კონსოლიდაცია (დადებითი გაპის დროს) ან მეტი ექსპანსია (უარყოფითი გაპის დროს), რაც ნიშნავს, რომ ფისკალური იმპულსი დადებითი უნდა იყოს. თუ გამოშვების გაპი იზრდება, ანტიციკლური პოლიტიკისთვის აუცილებელია ან მეტი კონსოლიდაცია (დადებითი გაპის დროს) ან ნაკლები ექსპანსია (უარყოფითი გაპის დროს), რაც ნიშნავს, რომ ფისკალური იმპულსი უარყოფითი უნდა იყოს⁹.

2023 წელს ფისკალური პოზიცია ექსპანსიური იყო, ანუ მიმართული იყო ეკონომიკის სტიმულირებისაკენ. 2023 წელს მშპ-ს გადახრა მისი პოტენციური დონიდან კვლავ დადებითი იყო, ასევე გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობაც და რაც მთავარია დაფიქსირდა უარყოფითი ციკლურად შესწორებული პირველადი მთლიანი ბალანსი, რაც დადებით ფისკალურ პოზიციას ნიშნავს.

2020 წელს დაფიქსირებული მაღალი უარყოფითი გაპის შემდეგ, 2021 წელს გაუმჯობესებული ეკონომიკური ზრდის ფონზე უარყოფითი გაპის სიდიდე შემცირდა, და 2022-2023 წლებში მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად დადებით ნიშნულზე დაფიქსირდა. როგორც დიაგრამა 28-ზე არსებული მშპ-ს გეპისა და ციკლურად შესწორებული მთლიანი პირველადი ბალანსის კომბინაცია გვიჩვენებს, 2023 წელს ფისკალური პოლიტიკა იყო პროციკლური¹⁰.


9. დეტალური ინფორმაციის და მეთოდოლოგიისათვის იხილეთ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: "ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანევრირების რესურსი." http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Fiscal_Stance_and_Space.pdf

10. ანტიციკლური ფისკალური ექსპანსია - როდესაც ქვეყნის რეალური მშპ ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, ხოლო ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ანუ ეკონომიკის შენელების დროს ხდება მისი სტიმულირება. პროციკლური ექსპანსია - როდესაც ქვეყნის რეალური მშპ მეტია მის პოტენციურ დონეზე, მაგრამ ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), ანუ ეკონომიკური ზრდის დროს ხდება მისი სტიმულირება ანტიციკლური კონსოლიდაცია - როდესაც ქვეყნის რეალური მშპ მეტია მის პოტენციურ დონეზე, ხოლო ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში ნაკლებ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური კონსოლიდაცია), ანუ ეკონომიკური ზრდის დროს ხდება დეფიციტის შემცირება. პროციკლური კონსოლიდაცია - როდესაც ქვეყნის რეალური მშპ ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, მაგრამ ამ დროს სახელმწიფო ეკონომიკაში ნაკლებ რესურსს დებს, ვიდრე იღებს (ფისკალური კონსოლიდაცია), ანუ ეკონომიკის შენელების დროს ხდება დეფიციტის შემცირება.



დიაგრამა 26: ფისკალური პოზიცია და მშპ-ს გეპი.
წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

თუმცა პროციკლურობა ასევე შესაძლებელია შეფასდეს, დინამიკაში კიდევ უფრო მკაცრი კრიტერიუმით, ე.წ. ფისკალური იმპულსისა (ფისკალური პოზიციის ცვლილება) და მშპ-ს გეპის ცვლილების კომბინაციით. აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ 2023 წელს ფისკალური იმპულსი უარყოფითი იყო ქვეყანაში (იგულისხმება, რომ ფისკალური პოზიცია ნაკლებად ექსპანსიური იყო წინა წელთან შედარებით და შედეგად მივიღეთ კონსოლიდაცია) და ვიანიდან 2023 წელს მშპ-ს დადებითი გეპის ზომა შემცირდა (იხ. დიაგრამა № 5), აღნიშნული კი 2023 წელს ფისკალური პოლიტიკის პროციკლურ კონსოლიდაციაზე მიუთითებს.




დიაგრამა 27: ფისკალური იმპულსი და მშპ-ს გეპის ცვლილება.
წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

4. მონეტარული სექტორი

4.1 ინფლაციის მიმოხილვა

2023 წელს ფასების საშუალო საერთო დონე 2022 წელთან შედარებით 2.5%-ით გაიზარდა, რაც 2022 წლის საშუალო წლიურ ინფლაციაზე 9.4 პპ-ით ნაკლებია. 2023 წლის წლიურმა (პერიოდის ბოლო) ინფლაციამ კი 0.4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი 3%-ით არის განსაზღვრული.

როგორც დიაგრამა 28-ზე ჩანს, სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფმა სამომხმარებლო ფასების ინფლაციაზე სხვადასხვა მიმართულებით მოახდინა გავლენა. ამ მხრივ აღსანიშნავია სურსათი და უალკოჰოლო სასმელების (1.32 პპ-ით) ზრდის მიმართულებით და ჯანმრთელობის დაცვის (-0.6 პპ-ით) კლების მიმართულებით შეტანილი წვლილი.



დიაგრამა 28: საშუალო წლიური ინფლაციის დეკომპოზიციისა.
წყარო: საქსტატი.

რაც შეეხება 2023 და 2022 წლების ინფლაციის დეკომპოზიციას 12 სასაქონლო ჯგუფის მიხედვით (ცხრილი 6), 2023 წელს ინფლაციაზე გავლენის მქონე პროდუქციის სტრუქტურა განსხვავდება 2022 წლის მაჩვენებლისაგან, ასევე განსხვავდება მათზე მოქმედი ფაქტორებიც:

- 2022 წლისგან განსხვავებით 2023 წელს ჯანმრთელობის დაცვის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სასაქონლო ჯგუფებმა ინფლაციაზე გავლენა კლების მიმართულებით იქონიეს;
- 2023 წელს სურსათის ფასების ზრდის წვლილი ინფლაციაში შემცირდა წინა წელთან შედარებით, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად უკავშირდებოდა სურსათზე მსოფლიო ფასების შემცირებას;
- 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, ფასების მცირე ზრდის ტენდენცია შეინიშნება ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სასაქონლო ჯგუფზე.

2023		2022	
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	1.32	5.94	სურსათი და უალკოჰოლო სასმელები
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.64	1.87	ტრანსპორტი
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	0.60	1.65	საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო, ნარკოტიკები	0.45	0.57	სასტუმროები, კაფეები და რესტორნები
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.30	0.52	ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება
განათლება	0.26	0.49	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო, ნარკოტიკები
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	0.14	0.47	სხვადასხვა საქონელი და მომსახურება
დასვენება, გართობა და კულტურა	0.01	0.22	განათლება
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	0.01	0.13	დასვენება, გართობა და კულტურა
კავშირგაბმულობა	-0.10	0.12	ჯანმრთელობის დაცვა
ტრანსპორტი	-0.54	0.02	კავშირგაბმულობა
ჯანმრთელობის დაცვა	-0.57	-0.02	ტანსაცმელი და ფეხსაცმელი

ცხრილი 8: საშუალო წლიური ინფლაციის დეკომპოზიცია, 2022-2023 წწ.

წყარო: საქსტატი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

4.2 საბანკო დეპოზიტები და სესხები

4.2.1 დეპოზიტები


დეპოზიტების ჯამური მოცულობა 2023 წლის დეკემბრის ბოლოსათვის წინა თვესთან შედარებით 145.5 მლნ ლარით ანუ 0.3%-ით გაიზარდა და 52,087.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2022 წლის დეკემბრის თვის მაჩვენებელთან შედარებით 6,050.0 მლნ ლარით ანუ 16.3%-ით მეტია.

დეპოზიტების მოცულობა ეროვნულ ვალუტაში 2023 წლის დეკემბრის ბოლოსათვის წინა თვესთან შედარებით 16.3 მლნ ლარით ანუ 0.1%-ით შემცირდა და 25,141.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2022 წლის დეკემბრის თვის მაჩვენებელთან შედარებით 5,335.5 მლნ ლარით ანუ 26.9%-ით მეტია.

ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების სტრუქტურაში 40.1% (10,070.7 მლნ ლარი) ვადიან დეპოზიტებზე მოდის. რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული დეპოზიტების მოცულობას, 7,832.9 მლნ ლარს შეადგენს და წინა თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე 403.0 მლნ ლარით ანუ 5.4%-ით მეტია, ხოლო 2022 წლის დეკემბრის მონაცემს 2,160.6 მლნ ლარით ანუ 38.1%-ით აღემატება.

დეპოზიტების მოცულობამ უცხოურ ვალუტაში 2023 წლის დეკემბრის თვის ბოლოსათვის ეროვნულ ვალუტაში გამოსახულებით 26,945.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 0.6%-ით ანუ 161.8 მლნ ლარით მეტია წინა თვის მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო 2022 წლის დეკემბრის მაჩვენებელს 714.3 მლნ ლარით ანუ 2.7%-ით აღემატება.

უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების მოცულობამ მიმდინარე ანგარიშებზე 2023 წლის დეკემბრის თვის ბოლოსათვის 7,688.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მონაცემზე (8,165.7 მლნ ლარი) 476.9 მლნ ლარით ანუ 5.8%-ით ნაკლებია, ხოლო 2022 წლის დეკემბრის ანალოგიურ მაჩვენებელს 738.7 მლნ ლარით ანუ 8.8%-ით ჩამორჩება. 2023 წლის დეკემბერში დეპოზიტების მოცულობამ უცხოურ ვალუტაში ვადიან ანგარიშებზე 9,998.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 483.4 მლნ ლარით ანუ 5.1%-ით მეტია წინა თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო 2022 წლის დეკემბრის თვის მაჩვენებელზე 20.5%-ით ანუ 1,697.5 მლნ ლარით მეტს წარმოადგენს.




დიაგრამა 29: კომერციული ბანკების მიერ მოზიდული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა, მლნ ლარი.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ფიზიკური პირების მიერ საბანკო სისტემაში განთავსებული მთლიანი დეპოზიტები

2023 წლის დეკემბრის თვის ბოლოს კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების მიერ ეროვნულ ვალუტით განთავსებულმა დეპოზიტების მოცულობამ 9,438.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელს 742.2 მლნ ლარით ანუ 8.5%-ით აღემატება, ხოლო 2022 წლის დეკემბრის თვის მაჩვენებელთან შედარებით 2,646.2 მლნ ლარით ანუ 39.0%-ით მეტია.

კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების მიერ უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტების მოცულობამ 2023 წლის დეკემბრის თვის ბოლოსათვის 17,798.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 127.7 მლნ ლარით ანუ 0.7%-ით მეტია, ხოლო 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 664.2 მლნ ლარით ანუ 3.9%-ით აღემატება.




დიაგრამა 30: ფიზიკური პირების მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა, მლნ ლარი.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

იურიდიული პირების მიერ საბანკო სისტემაში განთავსებული მთლიანი დეპოზიტები

2023 წლის დეკემბრის ბოლოსათვის იურიდიული პირების მიერ საბანკო სექტორში ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების მოცულობამ 15,702.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 758.5 მლნ ლარით, ანუ 4.6%-ით ნაკლებია, ხოლო 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 2,689.3 მლნ ლარით ანუ 20.7%-ით აღემატება.

2023 წლის დეკემბერში იურიდიული პირების მიერ საბანკო სექტორში უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა სახსრებმა 9,147.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მონაცემს 34.1 მლნ ლარით ანუ 0.4%-ით აღემატება, ხოლო 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 50.2 მლნ ლარით ანუ 0.6%-ით.

ეროვნული ვალუტა უცხოური ვალუტა




დიაგრამა 31: იურიდიული პირების მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა, მლნ ლარი.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

4.2.2 სესხები

ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა დეკემბერში გაიზარდა და 27,803.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 904.2 მლნ ლარით ანუ 3.4%-ით მეტია წინა თვის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3,767.0 მლნ ლარით ანუ 15.7%-ით აღემატება. აღნიშნული სესხების 70.7% (19,655.1 მლნ ლარი) შინამეურნეობებზე მოდის.


უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობამ დეკემბრის თვის ბოლოსათვის 22,114.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 549.1 მლნ ლარით ანუ 2.5%-ით მეტია, ხოლო 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2,271.7 მლნ ლარით ანუ 14.0%-ით აღემატება. აღნიშნული სესხების 34.1% (7,538.7 მლნ ლარი) შინამეურნეობებზე მოდის.

სულ 2023 წლის დეკემბრის თვის ბოლოსათვის ეკონომიკისადმი მთლიანად გაცემული სესხების მოცულობამ 49,917.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 3.0%-ით ანუ 1,453.3 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6,488.7 მლნ ლარით ანუ 14.9%-ით აღემატება. აღნიშნული სესხების 54.5% (27,193.8 მლნ ლარი) შინამეურნეობებზეა გაცემული.



დიაგრამა 32: კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტებზე ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემული სესხებით დავალიანება, მლნ ლარი.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რესურსების განაწილება ეროვნულ ვალუტაში ქვეყნის ეკონომიკის სექტორებს შორის უჩვენებს, რომ კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან (11,407.5 მლნ ლარი) ყველაზე მეტი საკრედიტო რესურსი ვაჭრობის დარგში იქნა მიმართული 5,422.3 მლნ ლარის ოდენობით (წილი - 47.5%). რაც შეეხება დანარჩენ დარგებს, მრეწველობაში 1,260.8 მლნ ლარი (11.9%), ფინანსურ შუამავლობაში 1,231.3 მლნ ლარი (10.8%), მშენებლობაში 1,146.2 მლნ ლარი (10.0%), ხოლო სხვა სექტორებში - 2,246.9 მლნ ლარი (19.7%) იქნა გაცემული. ანალოგიურ პერიოდში იურიდიულ პირებზე საკრედიტო რესურსების (11,984.3 მილიონი ლარი) განაწილება უცხოურ ვალუტაში ქვეყნის ეკონომიკის სექტორებს შორის შემდეგია: ვაჭრობა - 3,629.1 მლნ ლარი (30.3%), მშენებლობა - 2,594.8 მლნ ლარი (21.7%), მრეწველობა - 2,012.5 მლნ ლარი (16.8%), ოპერაციები უძრავი ქონებით - 1,281.4 მლნ ლარი (10.7%) და დანარჩენი სექტორები - 2,466.5 მლნ ლარი (20.6%).




დიაგრამა 33: კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების სტრუქტურა, 2023 წ. წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

4.3 მონეტარული განაკვეთების მიმოხილვა

2023 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9.5%-მდე შემცირდა, რაც 1.5 პპ-ით ნაკლებია 2022 წლის ბოლოს არსებულ განაკვეთზე. 2023 წლის დასაწყისში განაკვეთი 11.0%-ს შეადგენდა, წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა სულ 8-ჯერ გაიმართა. აქედან, მაისის თვეში კომიტეტის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 0.5 პპ-ით, აგვისტოსა და სექტემბერში - 0.25 პპ-ით, ხოლო დეკემბერში 0.5 პპ-ით შემცირებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის დასაწყისში, ერთჯერადი ფაქტორების შედეგად (აქციზის ზრდა და გაცვლითი კურსის გაუფასურება) ინფლაციის დროებითი ზრდის გამო, მონეტარული პოლიტიკა უმნიშვნელოდ გამკაცრდა. განაკვეთის შემდგომი მატება წლის შუაში ინფლაციური მოლოდინების ზრდას მოჰყვა, ხოლო წლის ბოლოს - ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის საგრძნობ გაუფასურებას, რამაც, ერთჯერადი ფაქტორების ამონურვის მიუხედავად, ინფლაციაზე ზეწოლა გაზარდა. 2018 წელს განაკვეთის კლებას ჰქონდა ადგილი, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის მოსალოდნელზე სწრაფი გამყარების შედეგად, შემცირებულ ინფლაციურ ზეწოლას უკავშირდება, რასაც ზომიერად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლის დაწყება მოჰყვა. იგივე გაგრძელდა 2019 წელს, მაგრამ 2019 წლის ზაფხულში ვალუტის კურსის მკვეთრი გაუფასურების საპასუხოდ, რომელმაც ინფლაციაზე მნიშვნელოვანი წნეხი მოახდინა, ეროვნულმა ბანკმა აგვისტოში არსებული 6.5 პროცენტიდან დეკემბრის ბოლოს


ბოლოს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9 პროცენტამდე გაზარდა. 2020 წელს პანდემიის გამო შემოღებული შეზღუდვების შედეგად შემცირებული ეკონომიკური აქტივობის ნახალისების მიზნით ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 1.0 პპ-ით შეამცირა და წლის ბოლოსთვის 8.0 პროცენტზე დააფიქსირა. 2021 წლის დასაწყისიდან ინფლაციური პროცესების საპასუხოდ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი კვლავ ზრდის ტენდენციას ავლენს და წლის ბოლოსთვის 10.5%-ი ფიქსირდება. 2022 წელს რუსეთ-უკრაინას შორის დაწყებული ომის შედეგად მსოფლიო ბაზრებზე საკვები პროდუქტების და ნავთობის ფასების ზრდის შედეგად გაზრდილი ინფლაციის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11%-მდე გაზარდა და წლის ბოლომდე აღნიშნული განაკვეთი შეინარჩუნა. 2023 წელს ინფლაციის მაჩვენებლების კლდების კვალდაკვალ, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის თანდათანობით კლება. კერძოდ, 2023 წლის ბოლოს მაჩვენებელი 9.5%-მდე იქნა შემცირებული.

2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, საშუალო წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა როგორც სესხებზე, ასევე დეპოზიტებზე. 2023 წელს სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთმა 13.5% შეადგინა, რაც 0.4 პპ-ით მეტია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო დეპოზიტებზე საშუალო განაკვეთი 8.1% იყო (0.6 პპ-ით ზრდა). შესაბამისად, 0.1 პპ-ით შემცირდა და 5.5%-ს მიაღწია საპროცენტო სპრედმა (განაკვეთებს შორის სხვაობა).



დიაგრამა 34: საპროცენტო განაკვეთები.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.


აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საშუალო საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ სესხებზე (16.2%, -0.2 პპ), ხოლო დეპოზიტებზე (10.9%, -0.4 პპ) შემცირდა. თუმცა გაიზარდა საპროცენტო სპრედი, რომელმაც 5.3% შეადგინა (0.2 პპ-ით ზრდა). გაიზარდა საშუალო განაკვეთები უცხოური ვალუტით სესხებზე (8.8%, 1.7 პპ) და დეპოზიტებზე (1.6%, 0.5 პპ), შესაბამისად სპრედი ამ მიმართულებითაც გაიზარდა (7.2%, 1.2 პპ).



დიაგრამა 35: საპროცენტო განაკვეთები.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

4.4 დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა


2023 წელს დეპოზიტური კორპორაციების წმინდა უცხოური აქტივები 7.2%-ით შემცირდა და წლის ბოლოსთვის 2.7 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა უცხოური აქტივები 2.5%-ით გაიზარდა და 11.1 მლრდ ლარს მიაღწია, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების (საბანკო სექტორის) წმინდა უცხოური აქტივები 6.1%-ით შემცირდა -8.4 მლრდ ლარამდე. თავის მხრივ, 2023 წელს 16.8%-ით გაიზარდა დეპოზიტური კორპორაციების წმინდა საშინაო აქტივები და წლის ბოლოსთვის 40.5 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, 16.5%-ით გაიზარდა და 55.1 მლრდ ლარს მიაღწია წმინდა საშინაო დაკრედიტებამ, ხოლო სხვა წმინდა მუხლები 15.7%-ით შემცირდა -14.6 მლრდ ლარამდე.



დიაგრამა 36: დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა, ათასი ლარი.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2023 წლის ბოლოსთვის დეპოზიტური კორპორაციების წმინდა საშინაო დაკრედიტებიდან ყველაზე დიდი წილი (50.0%) სხვა რეზიდენტი სექტორების (ფიზიკური პირების) დავალიანებაზე მოდიოდა - 27.8 მლრდ ლარი (ზრდა - 14.9%). მომდევნო პოზიციაზე იყო (42.9%) სხვა არაფინანსური კორპორაციების დავალიანება, რომელმაც 23.7 მლრდ ლარს მიაღწია (ზრდა - 18.5%). აღსანიშნავია, რომ 2023 წელს შენარჩუნდა 2015 წელს დაწყებული ტენდენცია, როდესაც ფიზიკური პირების დავალიანებამ მონაცემთა აღრიცხვის ისტორიაში პირველად გადააჭარბა სხვა არაფინანსური კორპორაციების დავალიანებას და წმინდა საშინაო დაკრედიტების ყველაზე მსხვილი მუხლი შეადგინა (2005 წლამდე ყველაზე მსხვილი მუხლი მთავრობის წმინდა დავალიანება იყო).

რაც შეეხება საშინაო დაკრედიტების სხვა მუხლებს, მთავრობის წმინდა დავალიანება წლის ბოლოსთვის 2.6 მლრდ ლარს შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით 14.9%-იან ზრდას წარმოადგენს, სახელმწიფო არაფინანსური კორპორაციების დავალიანება - 91.2 მლნ ლარს (კლება - 43.1%), ხოლო სხვა ფინანსური სექტორის დავალიანება - 1.2 მლრდ ლარს (ზრდა - 28.9%).




დიაგრამა 37: დეპოზიტური კორპორაციების წმინდა საშინაო დაკრედიტება და მისი კომპონენტები, ათასი ლარი.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

4.5 მონეტარული აგრეგატებისა და გაცვლითი კურსის მიმოხილვა

2023 წლის ბოლოსთვის, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული აგრეგატები M3 (43.2 მლრდ ლარი) და M2 (25.1 მლრდ ლარი), შესაბამისად, 14.9%-ითა და 26.9%-ით გაიზარდა. 31.1%-იანი ზრდა დაფიქსირდა M1 (17.5 მლრდ ლარი) აგრეგატის და 21.4%-იანი კლება M0 (4.7 მლრდ ლარი) აგრეგატის შემთხვევაში. 0.3%-ით გაიზარდა და წლის ბოლოსთვის 12.0 მლრდ ლარი შეადგინა სარეზერვო ფულმა. აღსანიშნავია, რომ 2015-2023 წლებში მონეტარული აგრეგატები უწყვეტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გარდა 2021 წლისა, როდესაც M0 აგრეგატი უმნიშვნელოდ შემცირდა.

2023 წელს 6.0 პპ-ით შემცირდა და 47.0% შეადგინა დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელმა. აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა 2017 წლამდე. კერძოდ, 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 69.3%-ს, ხოლო 2017 წლიდან დაიყო კლება და 2019 წელს შეადგინა 61.0%. პანდემიის პერიოდში, კერძოდ კი 2020 წელს დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით კვლავ გაიზარდა 1.8 პპ-ით და შეადგინა 62.7%. 2021 წლის შემდეგ მაჩვენებელი მუდმივად კლების ტენდენციით ხასიათდება.



დიაგრამა 38: მონეტარული აგრეგატები, ათასი ლარი.
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2023 წელს ლარის გაცვლითი კურსი გამყარდა შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში: თურქული ლირა (57.7%), რუსული რუბლი (38.5%), უკრაინული გრივნა (27.5%), ბელარუსული რუბლი (13.4%), აზერბაიჯანული მანათი (11.1%), აშშ დოლარი (11.0%), ევრო (8.4%), მოლდოვური ლეი (6.7%) და სომხური დრამი (0.2%).

	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ევრო	-7.6	-5.3	-5.2	-11.2	-6.9	23.9	8.4
დოლარი	-5.7	-1.0	-10.1	-9.3	-3.5	10.5	11.0
თურქული ლირა	14.0	27.8	8.3	11.5	18.7	109.1	57.7
რუსული რუბლი	-17.5	6.2	-7.1	1.1	-1.4	1.3	38.5
აზერბაიჯანული მანათი	0.9	-2.4	-10.0	-9.3	-3.4	10.2	11.1
ბელარუსული რუბლი	-8.3	4.4	-7.8	5.7	0.6	14.0	13.4
მოლდოვური ლეი	-12.7	-9.8	-6.0	-10.8	-1.3	17.9	6.7
სომხური დრამი	-5.2	-0.9	-10.6	-7.7	-0.5	-4.8	0.2
უკრაინული გრივნა	-1.6	1.2	-15.0	-5.0	-2.3	29.7	27.5


ცხრილი 9: ლარის გაცვლითი კურსის ცვლილება (ზრდა ნიშნავს გამყარებას).
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

5. სოციალური სექტორი

5.1 დასაქმება და უმუშევრობა


2023 წელს, წინა წელთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო უმუშევართა რაოდენობა შემცირდა. კერძოდ, 2023 წელს სამუშაო ძალამ 1,596.3 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 2.9%-ით აღემატება. მათ შორის, დასაქმებულთა რაოდენობა 1,334.6 ათასი კაცით განისაზღვრა (4.0%-ით მეტი წინა წლის მაჩვენებელზე). დაქირავებულთა წილი მთლიან დასაქმებულთა რაოდენობაში 69.0% იყო, თვითდასაქმებულთა წილი კი - 31.0%. რაც შეეხება უმუშევართა რაოდენობას, აღნიშნული მაჩვენებელი საანალიზო პერიოდში 261.7 ათას კაცს შეადგენდა, ანუ წინა წელთან შედარებით 2.3%-ით ნაკლებს.

აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის დონემ 2023 წელს დაიკლო და 16.4% შეადგინა, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 0.9 პპ-ით ნაკლებია.



დიაგრამა 39: დასაქმების და უმუშევრობის დონე საქართველოში, 2023 წელი, ათასი კაცი, \$.
წყარო: საქსტატი.


გარდა ამისა, 2023 წელს გაიზარდა დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასიც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 1,858 ლარი შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით 20.4%-ით (315 ლარით მეტი)



დიაგრამა 40: საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი. წყარო: საქსტატი.

დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ანალიზი აჩვენებს, რომ 2023 წელს ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგში 3,925 ლარის ოდენობით (26.1% წლიური ზრდა), აგრეთვე საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებსა (3,215 ლარის ოდენობით, 17.9% წლიური ზრდა) და მშენებლობის დარგებში (2,708 ლარის ოდენობით, 21.9% წლიური ზრდა).

რაც შეეხება ბიზნეს სექტორს, 2023 წელს მისი ბრუნვა, ისევე როგორც გამოშვებული პროდუქციის ოდენობა გაიზარდა შესაბამისად 10.2% და 4.8%-ით, თუმცა წლის განმავლობაში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 4.0%-ით შემცირდა და 748.5 ათასი კაცი შეადგინა (მათ შორის, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა - 710.2 ათასი კაცი). დასაქმებულთა რაოდენობის ტრენდისგან განსხვავებით, ზრდა აღინიშნა მათ შრომის ანაზღაურებაში. კერძოდ, ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2023 წელს 1,969.3 ლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 22.6%-ით მეტია.




დიაგრამა 41: ბიზნეს სექტორში დასაქმება და საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება საქართველოში, ლარი. წყარო: საქსტატი.

5.2 სიღარიბე და საარსებო მინიმუმი

სოციალური სფეროს სხვა მნიშვნელოვან მაჩვენებლებთან ერთად, 2023 წელს გაუმჯობესდა სიღარიბის მაჩვენებელი საქართველოში.


კერძოდ, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი წინა წელთან შედარებით 3.8 პპ-ით შემცირდა და 11.8% შეადგინა. საინტერესოა სიღარიბის მაჩვენებლების შედარება ქალაქსა და სოფელს შორის. როგორც დიაგრამა 42-დან ჩანს, ბოლო წლების განმავლობაში სიღარიბის მაჩვენებელი სოფელში უფრო მაღალი ვიდრე ქალაქში. გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა 2005-2007 წლები, როდესაც სოფელთან შედარებით ქალაქში უფრო მაღალი იყო სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი.



დიაგრამა 42: სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი ქალაქსა და სოფელში, %.
წყარო: საქსტატი.

2023 წლის დეკემბრის ბოლოს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, საარსებო მინიმუმი შემცირდა. კერძოდ, დეკემბერში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 221.1 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.4 ლარით ნაკლებია.

რაც შეეხება 2023 წლის საარსებო მინიმუმის საშუალო მაჩვენებელს, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან მიმართებით 3.4%-ით არის გაზრდილი, ანუ 7.3 ლარით მეტი.



დიაგრამა 43: საქართველოში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი, ლარი.
წყარო. საქსტატი, საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.


6. საქართველო და დანარჩენი მსოფლიო

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვის დროს, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს მსოფლიოში არსებული მდგომარეობა და ტენდენციები, ვინაიდან განვითარებადი ქვეყნები, როგორც საქართველოა, მეტად მგრძობიარე არიან ეგზოგენური შოკების მიმართ. ამასთან, საქართველო წარმოადგენს ღია ეკონომიკის მქონე მცირე ქვეყანას, რომელიც ძირითადად მსოფლიო ბაზრებზე არსებული ფასების მიმდებია და შესაბამისად, მსოფლიო ბაზრებზე (როგორც სასურსათო და ნავთობის, ასევე საფინანსო) მოთხოვნა-მიწოდების ცვლილება გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საქართველოს მაკროეკონომიკური პარამეტრები მიმოხილული იქნას როგორც მშობელ და განვითარებად ქვეყნებთან, აგრეთვე ევროკავშირის წევრ, მათ შორის წევრობის კანდიდატ ქვეყნებთან მიმართებით.

მოსახლეობის ცხოვრების დონის საზომად ხშირად გამოიყენება მშპ ერთ სულ მოსახლეზე, თუმცა როდესაც ქვეყნების ერთმანეთთან შედარება ხდება, ამ დროს მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით (PPP), რომელიც წარმოადგენს ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მსგავს მაჩვენებელს, თუმცა დათვლილია თითოეულ ქვეყანაში ცხოვრების ღირებულების გათვალისწინებით.

სხვადასხვა ქვეყნის ჯგუფებთან და ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებთან შედარების დროს ირკვევა, რომ 2023 წელს საქართველოში მშპ ერთ სულ მოსახლეზე (16,734 საერთაშორისო \$, PPP მეთოდით) აღემატებოდა ევროკავშირის ბოგიერთი კანდიდატი ქვეყნის მაჩვენებელს - ალბანეთს, ბოსნია-ჰერცეგოვინას, მოლდოვას, უკრაინას, თუმცა ნაკლები იყო მონტენეგროს, ჩრდ. მაკედონიის, სერბეთის და თურქეთის მაჩვენებლებზე. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, თუმცა საგრძობლად უსწრებს წინ განვითარებად ქვეყნებს. აღნიშნული კი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველო ცხოვრების სტანდარტებით და ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით, მოწინავე პოზიციას იკავებს განვითარებად ქვეყნებს შორის.




დიაგრამა 44: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, PPP, მიმდინარე ფასები, საერთაშორისო \$, 2023 წ. წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

6.1 მეზობელი ქვეყნები

მეზობელ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიმართულებით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ქვეყნები საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს წარმოადგენენ, რაც, ძირითადად, ტერიტორიული სიახლოვითა და მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე შეღწევის სიმარტივით არის განპირობებული.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღნიშნულ ქვეყნებში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, აღნიშნულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე (მაგ. 2022 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომი) მსოფლიო სასურსათო და ნავთობის ბაზრებზე დაფიქსირებული ფასების რყევებით, გაცვლითი კურსის მერყეობით და მოთხოვნა-მიწოდების ცვლილებით.


ბოლო ათწლეულის განმავლობაში 2020 წლამდე საქართველოში, ისევე როგორც მეზობელ ქვეყნებში, რუსეთის და თურქეთის გარდა, მუდმივად დადებითი ეკონომიკური ზრდა ფიქსირდებოდა. 2015 წელს რუსეთის ეკონომიკის უარყოფითი ზრდის ტემპი, ანუ რეცესია აღინიშნა, რაც გამოწვეული იყო ნავთობის დაბალი ფასების და დასავლეთის მიერ რუსეთზე დანესებული სანქციების გამო. 2016 წელს ეკონომიკის კლება დაფიქსირდა თურქეთშიც, რომელიც ძირითადად პოლიტიკური არასტაბილურობის, თურქული ლირის შესუსტებით და სხვა შიდა და გარე შოკებით იქნა განპირობებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თურქეთი ერთადერთია მეზობელ ქვეყნებს შორის, რომელმაც კოვიდ-19 პანდემიის დროს, კერძოდ 2020 წელს, დადებითი ეკონომიკური ზრდა შეინარჩუნა, მაშინ როდესაც ეკონომიკის მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა დანარჩენ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი სომხეთსა (-7.2%) და საქართველოში (-6.3%).



დიაგრამა 45: რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი, %.
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.


კოვიდ-19 პანდემიის შეზღუდვების გაუქმების შემდეგ, 2021 წელს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, როდესაც მოხდა ტრადიციული სავაჭრო კავშირების და გლობალური მიწოდების ჯაჭვის აღდგენა, განსაკუთრებით კი მომსახურების სფეროში. ამ მხრივ, აღსანიშნავია თურქეთსა (11.4%) და საქართველოში (10.6%) დაფიქსირებული ეკონომიკის ზრდის ორნიშნა მაჩვენებლები. რაც შეეხება 2023 წელს, რეალური მშპ-ს 8.7%-იანი ზრდა იქნა მიღწეული სომხეთში, 7.5% - საქართველოში, 4.5% - თურქეთში, ხოლო რუსეთსა და აზერბაიჯანში შესაბამისად 3.6% და 1.1%.

ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს ერთ სულ მოსახლეზე მშპ, რომელიც ნომინალური მშპ-ს მოსახლეობის რაოდენობაზე გაყოფით მიიღება. ამ მხრივ, ბოლო წლების განმავლობაში, საინტერესო ტენდენცია იკვეთება მეზობელ ქვეყნებში. 2010 წლიდან 2014 წლამდე ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებლით რეგიონში ლიდერობდა რუსეთი, ხოლო 2015-2023 წლებში პირველ ადგილს იკავებდა თურქეთი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2017 წლამდე აზერბაიჯანი აღნიშნული მაჩვენებლით საქართველოს უსწრებდა, ხოლო 2018 წლიდან დღემდე საქართველო ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებლით წინ უსწრებს აზერბაიჯანს და სომხეთს. შესაბამისად, საქართველომ აღნიშნულ ორ ქვეყანასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა ცხოვრების დონე, ანუ გაიზარდა ეკონომიკური კეთილდღეობა. კერძოდ, 2023 წელს საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მშპ 23,237 საერთაშორისო დოლარს შეადგენდა მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანში შესაბამისად 20,032 და 18,585 საერთაშორისო დოლარს.




დიაგრამა 46: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, PPP, საერთაშორისო \$.
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია რეგიონში ინფლაციის და უმუშევრობის ტენდენციების, ისევე როგორც ამ ორ მაჩვენებელს შორის კავშირის ანალიზი. ეკონომიკური თეორიის თანახმად, კერძოდ კი ფილიპსის მრუდი გვიჩვენებს, რომ უმუშევრობა და ინფლაცია საპირისპირო მიმართულებით მოძრაობენ, ანუ მათ შორის კორელაცია უარყოფითია. აღნიშნული თეორიის თანახმად, დაბალი უმუშევრობის პირობებში მოსახლეობა ხარჯავს უფრო მეტს, რაც იწვევს ინფლაციაზე ზეწოლას. თუმცა პრაქტიკაში არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აღნიშნულ ორ ცვლადს შორის კორელაცია დადებითია, განსაკუთრებით სტაგფლაციის დროს.




დიაგრამა 47: საშუალო წლიური ინფლაცია, %.
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.



დიაგრამა 48: უმუშევრობის დონე რეგიონის ქვეყნებში, %.
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

ბოლო წლების განმავლობაში (კოვიდპანდემიამდე) რეგიონის ქვეყნებში სამომხმარებლო ფასების ინფლაციის განსხვავებული ტემპები შეინიშნებოდა: შედარებით სტაბილური ინფლაციის მაჩვენებელი ჰქონდა საქართველოსა და სომხეთს, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში ინფლაციის დონე მერყეობდა. კერძოდ, 2014-2019 წლებში ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი საქართველოში შეადგენდა 3.8%-ს (ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე - 3%-ზე მეტი), სომხეთში კი - 1.7%-ს. რაც შეეხება თურქეთს, რუსეთსა და აზერბაიჯანს სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია აღნიშნულ პერიოდში შესაბამისად 11.2%, 6.9% და 5.9%-ს შეადგენდა. კოვიდპანდემიის პერიოდში ყველა აღნიშნულ ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებლის საგრძნობი მატება შეინიშნებოდა ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, თუმცა რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით თურქეთში ინფლაციური პროცესები უფრო საგრძნობი იყო და 2022 წელს ინფლაციის ზრდის ტემპმა 72.3%-ს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ხუთივე ქვეყანამ შეძლო ინფლაციის შემცირება, თუმცა საქართველო და სომხეთი ამ შემთხვევაშიც გამოირჩა დაბალი მაჩვენებლით. კერძოდ, საქართველოში ინფლაციის დონემ 2.5% შეადგინა, სომხეთში - 2.0, თურქეთში - 5.9%, აზერბაიჯანში - 8.2%, ხოლო რუსეთში - 5.9%.



დიაგრამა 49: მეზობელი ქვეყნების საშუალო წლიური ინფლაცია 2023წ.
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

რაც შეეხება უმუშევრობის დონეს, 2014-2019 წლებში იმ ქვეყნებში, სადაც მაღალი ინფლაცია შეინიშნებოდა მართლაც შედარებით დაბალი იყო უმუშევრობის დონე, ხოლო ქვეყნებში სადაც დაბალი იყო ინფლაციის მაჩვენებელი, უმუშევრობის დონე უფრო მაღალი იყო. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში საქართველოში უმუშევრობის დონის საშუალო მაჩვენებელი 20.8%-ს შეადგენდა, ხოლო სომხეთში - 18.2%-ს. შედარებით მაღალი ინფლაციის მქონე ქვეყნებში, თურქეთში, რუსეთსა და აზერბაიჯანში უფრო დაბალი უმუშევრობის დონე დაფიქსირდა: კერძოდ, თურქეთში - 11.1%, რუსეთში - 5.2%, ხოლო აზერბაიჯანში - 5.0%.

რაც შეეხება 2023 წლის მონაცემებს, საქართველოში რეგიონში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე 16.4%-ზე დაფიქსირდა, თუმცა წინა წლებთან შედარებით უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად არის შემცირებული (2010 წლიდან დღემდე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი). სომხეთში უმუშევრობის მაჩვენებელმა 12.5% შეადგინა, ხოლო სხვა მეზობელ ქვეყნებში შედარებით ნაკლები.


6.2 განვითარებადი ქვეყნები

2023 წელს განვითარებად ქვეყნებში განსხვავებული ტენდენციები გამოიკვეთა. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საქონელზე მოთხოვნის შემცირებამ მრავალი განვითარებადი ქვეყნიდან ექსპორტი შეამცირა, ხოლო გაზრდილმა საპროცენტო განაკვეთებმა შიდა მოთხოვნა შეზღუდა. შესაბამისად, ბოლო პერიოდში წარმოების სუსტი ექსპანსია შეინიშნა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რამაც თავისთავად მათ ეკონომიკურ ზრდაზე იქონია გავლენა.

გლობალური მოთხოვნის შემადგენლობის ქვეყნებში სხვადასხვა სავაჭრო შედეგები გამოიწვია და ძირითადად განვითარებადი ქვეყნების ის ეკონომიკები აზარალა, რომელთაც დიდი საექსპორტო სასაქონლო სექტორები გააჩნდა. მეორე მხრივ, ექსპორტის უკეთესი ტენდენციები გამოიკვეთა მომსახურების ექსპორტიორ ქვეყნებში, რაზეც გავლენა გლობალურად გამოცოცხლებულმა მომსახურების სფერომ, კერძოდ კი ტურიზმის სექტორმა იქონია.

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფში კოვიდპანდემიის შემდგომ - 2021 წელს დაფიქსირებულ მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან შედარებით, 2022-2023 წლებში რეალური მშპ-ს ზრდის დადებითი მაჩვენებელი შემცირდა. თუმცა, 2023 წელს, წინა წელთან მიმართებით, ეკონომიკა 0.2 პპ-ით გაიზარდა და 4.3% შეადგინა.


საქართველოში 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, ეკონომიკის დადებითი ზრდის ტემპი 3.5 პპ-ით შემცირდა და რეალური მშპ-ს ზრდა 7.5%-ზე დაფიქსირდა. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფისგან განსხვავებით, საქართველოში 2022 წელსაც დაჩქარდა ეკონომიკის დადებითი ზრდის ტემპი. რაც შეეხება კოვიდპანდემიის შოკის გავლენას საქართველოსა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფს შორის, ეკონომიკა საქართველოში უფრო მეტად დაზარალდა, ვიდრე მთლიანი ჯგუფის ქვეყნები საშუალოდ. კერძოდ, 2020 წელს რეალური მშპ-ს ზრდამ -1.8% შეადგინა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფში, ხოლო -6.3%. აღნიშნული სხვაობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ ზოგი ქვეყანა, ისევე როგორც საქართველო, მომსახურების სფეროზე (კერძოდ, ტურიზმის სექტორზე) დიდად არის დამოკიდებული, რის გამოც კოვიდპანდემიის შოკის მიმართ ასეთ ქვეყნები უფრო მონწყვლადი აღმოჩნდა.



დიაგრამა 50: რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი, %.


წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

2023 წელს მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მიხედვით საქართველოსა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის. კერძოდ, საქართველოს მაჩვენებელი 7,926 საერთაშორისო დოლარით მეტი იყო აღნიშნული ჯგუფის მაჩვენებელზე და 23,237 საერთაშორისო დოლარი შეადგინა. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2012 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველო ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებლით მუდამ წინ უსწრებს განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაციაში შეყვანილია დაბალი შემოსავლის მქონე განვითარებადი ქვეყნებიც.



დიაგრამა 51: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, PPP, საერთაშორისო \$.
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

რაც შეეხება ინფლაციის მაჩვენებელს, როგორც დიაგრამა 52-ზეა ნაჩვენები, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ინფლაციას ბევრად ცვალებადი ტრენდი ჰქონდა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფისგან განსხვავებით, სადაც სამომხმარებლო ფასების ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი შედარებით სტაბილურ დონეზე იყო შენარჩუნებული. ორივე შემთხვევაში ინფლაციის ტემპმა მნიშვნელოვნად მოიმატა კოვიდ პანდემიის შემდგომ პერიოდში სურსათის და ნავთობის მსოფლიო ბაზრებზე გაზრდილი ფასების, ისევე როგორც გაზრდილი მოთხოვნისა და გლობალური მიწოდების ჯაჭვის რღვევით გამოწვეული დეფიციტის გავლენით. თუმცა, 2023 წელს საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელი მიზნობრივ 3%-იან მაჩვენებელს ჩამოცდა და 2.5% შეადგინა, ხოლო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფში საშუალო წლიური ინფლაციის კვლავ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 8.3%-ის დონეზე.




დიაგრამა 52: საშუალო წლიური ინფლაცია, %.
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

6.3 ევროკავშირის წევრი და წევრობის კანდიდატი ქვეყნები

ქვეყნის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ევროკავშირთან ინტეგრირებაა, რაც ხელს უწყობს საქართველო-ევროკავშირის შორის სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობების განვითარებას, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას, აგრეთვე, დასავლეთის ძლიერი კონკურენციის მქონე ბაზრებზე დამკვიდრებას. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობებში ევროკავშირის ყველა ქვეყანა იყო ჩართული. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენას ახდენს მისი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდა.


უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს საქართველოს რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი (7.5%) აღემატებოდა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის ტემპს, აგრეთვე ჯამურად ევროკავშირის წევრი ქვეყნების რეალური მშპ-ს საშუალო ზრდის ტემპს (0.6%). უარყოფითი ზრდა დაფიქსირდა რამდენიმე წევრ ქვეყანაში, მათ შორის ავსტრიაში, გერმანიაში, ესტონეთში, ირლანდიაში, ლატვიაში, ლიეტუვაში, ლუქსემბურგში, უნგრეთში, ფინეთში, შვედეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში.



დიაგრამა 53: რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი, ევროკავშირის ქვეყნები და საქართველო, 2023 წ., %.

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.


გარდა 2023 წლისა, 2010 წლიდან დღემდე მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი აღნიშნულ წლებში მუდმივად აღემატებოდა ევროკავშირის ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის ტემპს. საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის აღნიშნული მაღალი ზრდის ტემპი ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით გასაკვირი არ არის, ვინაიდან როგორც წესი განვითარებადი ქვეყნებს მეტი სივრცე აქვთ იმისთვის, რომ განვითარდნენ და შესაბამისად, მათი ეკონომიკის ზრდის ტემპი შესაძლოა აჭარბებდეს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპს.



დიაგრამა 54: ევროკავშირის ქვეყნების და საქართველოს ეკონომიკური ზრდა, 2010-2023 წწ, %.
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.


მსგავსი ტენდენცია შეინიშნება ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებთან მიმართებითაც. კერძოდ, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი აღემატებოდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ყველა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს, მეორე ადგილს მონტენეგრო იკავებდა 6.0%-იანი ზრდით, ხოლო მესამე ადგილს - უკრაინა 5.0%-იანი ზრდით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი 2010-2019 წლებში, ანუ კოვიდპანდემიამდე პერიოდში, სხვა კანდიდატ ქვეყნებთან შედარებით სტაბილურობით ხასიათდებოდა. კოვიდპანდემიის პერიოდში, კერძოდ კი 2020 წელს, საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად შემცირდა და უარყოფითი ეკონომიკური ზრდა 6.3%-ზე დაფიქსირდა. აღნიშნული შოკის მიმართ საქართველოზე მეტად მონყვლადი აღმოჩნდა მონტენეგრო და მოლდოვა, სადაც უარყოფითმა ეკონომიკურმა ზრდამ შესაბამისად 15.3% და 8.3% შეადგინა.

2021 წელს წევრობის კანდიდატ ყველა ქვეყანაში დადებითი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა, რაც ძირითადად წინა წლის საბაზისო ეფექტით, აგრეთვე აღდგენილი საგარეო სავაჭრო ურთიერთობებით იქნა განპირობებული. 2022 წელს უმეტეს ქვეყანაში შენარჩუნებული იქნა ეკონომიკის დადებითი ზრდა, თუმცა წინა წელთან შედარებით შენელებული ტემპით, საქართველოში კი პირიქით, წინა წელთან შედარებით ეკონომიკის უფრო მაღალი ზრდა დაფიქსირდა (11.0%). 2022 წელს მნიშვნელოვნად დაეცა უკრაინის ეკონომიკა (-29.1%) რუსეთ-უკრაინას შორის დაწყებული ომიდან გამომდინარე, აგრეთვე მოლდოვის რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი (-5.0%).




დიაგრამა 55: რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი, %, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები, 2010-2023 წწ.
წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები შეინიშნება ბოლო წლებში, 2023 წელს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მიხედვით საქართველოს მაჩვენებელი ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყნის მაჩვენებელზე დაბალია. ევროკავშირის ქვეყნების ჯგუფში აღნიშნული მაჩვენებლით ლიდერობს ლუქსემბურგი (141,380 საერთაშორისო \$) და ირლანდია (130,915 საერთაშორისო \$), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა ბულგარეთი (33976 საერთაშორისო \$) და საბერძნეთი (39395 საერთაშორისო \$).




დიაგრამა 56: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, PPP (საერთაშორისო \$), ევროკავშირის ქვეყნები და საქართველო, 2023 წ. წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

განსხვავებული დინამიკა შეინიშნება ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებთან მიმართებით. კერძოდ, 2023 წელს საქართველო ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მიხედვით წინ უსწრებს ბოსნია-ჰერცეგოვინას (19595 საერთაშორისო \$), ალბანეთს (19485 საერთაშორისო \$), მოლდოვასა (16734 საერთაშორისო \$) და უკრაინას (14704 საერთაშორისო \$), ხოლო ჩამორჩება თურქეთს (42063 საერთაშორისო \$), მონტენეგროს (27965 საერთაშორისო \$), სერბეთსა (26305 საერთაშორისო \$) და ჩრდილოეთ მაკედონიას (24078 საერთაშორისო \$). მსგავსი დინამიკით ხასიათდება გასული წლების მაჩვენებლებიც, სადაც პირველ ადგილს მუდამ ინარჩუნებს თურქეთი, ხოლო ყველა დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა მოლდოვა და უკრაინა.




დიაგრამა 57: მშპ ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე ფასებში, PPP (საერთაშორისო \$), ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნები, 2010-2023 წწ. წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სგან განსხვავებით, ბელგიის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაციის დაბალი მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანას წინ უსწრებს. კერძოდ, 2023 წელს საქართველოს ინფლაციის 2.5%-იანი ზრდა მხოლოდ 0.2 პპ-ით აღემატებოდა ბელგიის მაჩვენებელს, ხოლო ყველაზე მაღალი ინფლაცია დაფიქსირდა უნგრეთში 17.1%-იან ნიშნულზე. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჯამურად ევროკავშირის წევრი ქვეყნების წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი კოვიდპანდემიის შემდეგ თანდათან შემცირების ტენდენციას ავლენს, რაზეც 2023 წელს დაფიქსირებული 6.3%-იანი მაჩვენებელიც მეტყველებს.



დიაგრამა 58: ინფლაცია ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში, წლიური ზრდა, %, 2023 წ. წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

საქართველო სამომხმარებლო ფასების დაბალი ინფლაციით გამოირჩევა ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს შორისაც. 2023 წელს საქართველოს ინფლაციის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (2.5%) ჰქონდა კანდიდატ ქვეყნებს შორის, ხოლო უკრაინას ყველაზე მაღალი (19.1%). კოვიდპანდემიის შოკის შემდეგ გლობალურმა ინფლაციურმა პროცესებმა ყველაზე დიდი გავლენა მოლდოვაზე იქონია, სადაც 2022 წელს 28.6%-იანი ინფლაცია დაფიქსირდა, თუმცა მოლდოვამ ერთ წელში - 2023 წელს 15.2 პპ-ით 13.4%-მდე შეამცირა აღნიშნული მაჩვენებელი. საინტერესოა აგრეთვე ბოსნია-ჰერცეგოვინასა და ალბანეთში კოვიდპანდემიის დროს დაფიქსირებული დეფლაცია შესაბამისად -1.1% და -0.2%-იან ნიშნულებზე. ბოსნია-ჰერცეგოვინაში დეფლაცია გამოწვეული იყო ისეთი ფაქტორებით, როგორცაა ტრანსპორტის ფასების ვარდნა (დაკავშირებული ნავთობის ფასების გლობალურად კლებასთან), ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფასების მუდმივი ვარდნა, მთავრობების გადანყვეტილებები ნავთობპროდუქტებზე მარჟების შეზღუდვების შესახებ და სხვა.



დიაგრამა 59: სამომხმარებლო ფასების ინფლაცია, წლიური ზრდა, %. ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები, 2010-2023 წწ.

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
5. საერთაშორისო სავალუტო ფონდი
6. მსოფლიო ბანკი

